

„აქედან და ყხვსკად“

ეროვნული  
ბიბლიოთეკა



№ 14.

წალიწალი პირველი

ტფილისი 1919 წ.

კვირა 9 მარტი.



# საქართველოს ჯარის

## უოველ-პირველი უხრნალი „რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული სამეცნიერო და სალიტერატურო განყოფილებით)

ამიერიდან გამოდის გადიდებული ფორმატით და განახლებული რედაქციით. უხრნალი მთელი წლით ეღირება 80 მ., ნახევარი წლით 45 მ., თვიურათ 8 მ., ცალკე ნომერი 2 მ.

უხრნალისთვის ყოველგვარი მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ბარონის (კალო-უბნის) ქ. ოფიციალური გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია, — უხრნალ „რესპუბლიკის ჯარისთვის“. უხრნალის „რესპუბლიკის ჯარის“ სარედაქციო საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, გარდა უქმეებისა, 1—3 საათამდე. უხრნალის კანტორა დიაა—10—3 საათამდე.

### უინაარსი:

- |   |  |
|---|--|
| <ol style="list-style-type: none"> <li>1) მოწინავე.</li> <li>2) ოფიცერთა საკითხი ჯარში — ი. ძე.</li> <li>3) როგორ უნდა გამოვიყენოთ ცხენოსანი ჯარი მობირდაპირის ფრონტის გარღვევის დროს.</li> <li>4) სამხედრო დებულებათა მნიშვნელობა ჯარისთვის — ა. ბ!</li> <li>5) ნაციონალიზაცია ზეგნ ჯარში პრაპ. — ჩინჩალაძე</li> </ol> | <ol style="list-style-type: none"> <li>6) ასპინძის ომი — ზ. კ.</li> <li>7) ჯარი და პროვოკატორები. — ა. ჭ — ძე.</li> <li>8) ლენ. გიორგი ამირეჯიბი — დავ. დონდუა.</li> <li>9) შენი ხელით მოველოდი მიწის დაყრას — ვ. საათაშვილი.</li> <li>10) კვირული მიმობილვა — გრ. საქარიძე დელი.</li> </ol> |
|---|--|



მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისთვის

უ უ რ ნ ა ლ ზ ე

# „კავკასიის ქალაქი“

საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის ორგანო.  
ორ-კვირეული გამოცემა მუნიციპალური საკითხების შესახებ.

ჟურნალი გამოდის ქართულ-რუსული განყოფ.

უ უ რ ნ ა ლ ი ღ ი რ ს: ერთი წლით 36 მან., ნახევარი წლით 18 მან. 50 კ.,  
სამი ავიტ—10 მან., ცალკე ნომერი—3 მან

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისი, სომხის ბაზარი № ტელეფონი 7—31.

ჩვენს ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი პირნი:

არსენიძე შ., აზატიანი გ., არღუტინსკი გ., ალიბეგოვი გ., ბურჯანაძე ვ., ბროდსკი ბ., ბრიტნევი ა., ბეჟანოვი, ვირსალაძე ს., ვიკნ., გოპართელი ი., გეფშტეინი დ., გამბლევი, დერკიოვსკისა კ., ელიაფა ს., ესენი ა., ირემბეგილი ი., იანოვიჩი, იშკოვი, კანდელაკი კ., კაკაღეიშვილი პ., კონიგვი გ., კლევინი ე., კნაპპი, კალიუჟნი, მამრადე გ., მადდისონი, მარგველაშვილი ტ., ნანეიშვილი გ., რაზუმოვსკი ე., რობაქიძე ს., რუხაძე, რიზანოვი პ., რიჩგორსკი-სავიჩი, ქავთარაძე პ., თოფურიძე დ., თუმანოვი გ., ონიაშვილი დ., სალაყაია ი., სვანიძე ა., საყვარელიძე პ., საბაზტარაშვილი კ., სულოაშვილი დ., სპირნოვი შ., შენგელაია-ქიაჩელი, შარაშენიძე ვ., ლლონტი თ., ჯაჯანაშვილი ა., ტრეიბანი, ტრიფუსი, ფენხერი ფ., ჩერქეზიშვილი.

## ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1919 ГОДЪ

Двухнедельный журнал по вопросам самоуправления на грузинском и русском языках

# „КАВКАЗСКИЙ ГОРОДЪ“

Органъ Главнаго Комитета Союза Городовъ Республики Грузин.

II-ой годъ изданія

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ

На годъ . . . . .	36 р.
На 6 мѣсяцевъ . . . . .	18 р. 50 к.
На 3 мѣсяца . . . . .	10 р.
Цѣна отдѣльнаго номера . . . . .	3 р.
Въ другихъ городахъ . . . . .	3 р. 50 к.
За перемѣну адреса . . . . .	50 к.

строка петита позади текста 1 р.—50 к.  
Для лицъ, ищущихъ труда въ город-  
скихъ и земскихъ управленіяхъ—въ  
половинномъ размѣрѣ.

Редакція и контора: Армянскій базаръ, 6, Телефонъ 7-31.

ВЪ ЖУРНАЛЪ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ:

- Р. Н. Азатянъ, Е. Ф. Арвантаки, П. М. Аргутинскій, Г. Г. Алибеговъ, М. Арсенидзе, Г. Аюлло, И. Г. Бежановъ, А. С. Бритнева, Б. М. Бродскій, В. Бурджанадзе, д-ръ С. С. Вирсаладзе, Д. К. Рейштейнъ, Н. М. Гикъ, Ю. Г. Гамалѣи, И. Гомартели, Т. Гловти, К. М. Дерковская, З. М. Дружинина, А. Джаджавашвили, С. И. Зубчаниновъ, Л. А. Ишковъ, I. Иремашвили, А. А. Калюжный, К. П. Канделаки, Д. З. Кореневъ, Э. И. Клейнъ, П. Л. Кикалейшвили, А. Клапшъ, Г. Кошіевъ, П. Кавтарაძე, Е. А. Маддисонъ, Г. Мамრადзе, Т. Маргвелаშვილი, Г. Нанейшвили, Д. Оნიашვილი, д-ръ Е. Л. Песисъ, проф. В. И. Разумовскій, С. И. Робакидзе, И. К. Рычгорскій-Савиць, Н. П. Рухадзе, Г. Согоровъ, М. Н. Смирновъ, В. А. Соколовъ, I. Салакаია, А. Сванидзе, И. Савварелидзе, К. Сабახтарашვილი, Д. Сулиашვილი, Ю. Х. Треймавъ, А. А. Тривусъ, Г. М. Тумановъ, Д. Топуридзе, д-ръ Ф. Л. Фехнеръ, Л. Шенгелая-Кіачели, В. Шарашанидзе, И. Черкезишვილი, В. А. Яновичъ, Н. З. Эліава, А. М. Эссенъ.



# სამხედრო შურნალი

## „რესპუბლიკის ჯარი“

(სამხედრო სამინისტროს განკარგულებათა კრებული ლიტერატურულ-სამეცნიერო განყოფილებით)

### ოფიციალი განყოფილება

ბ რ ძ ა ნ ე ბ ე ბ ი

#### რესპუბლიკის ჯარების მიმართ.

1 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 1

მივლინება დროებით: მე-3 ქვეითა პოლკის პოდპორუჩიკი ქუთათელაძე—სამხედრო სამინისტროს მწყობრგარეთს გუნდთან.

გამწესებულება: სათადარიგოთ მყოფი, პოდპორუჩიკი რამიშვილი, დანიშვნით მანგლისის რაზმში.

წაივლინება: მივლინებილი არმიის საარტილერიო ბრიგადასთან პრაპორშჩიკი თარხან-მოურავიშვილი, —სამთო ცხენოსან ბატერიაში.

ინიშნება: ახალციხის სასურსათო მალაზიის საქმის მწარმოებლად—მოქალაქე ვიქტორ კალანდარიშვილი, 1918 წლ 23 დეკემბრიდან.

გამწესებულება არიან: სათადარიგოთ მყოფნი: პორუჩიკი ყიფიანი და პრაპორშჩიკი ნინიაშვილი—დანიშვნით სადამინისტრაციო განყოფილების უფროსის განკარგულებაში, პირველი 22-ან, ხოლო მეორე 18 დეკემბრიდან 1918 წლ., ჯამაგირებით თითოს 575 მან. თვეში.

1 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი

№ 2

ინიშნებიან დროებით: სადამინისტრაციო განყოფილებასთან მინდობილობისათვის მოხელეებათ—მოხელე პოდკობოვი და მოქალაქე ახალბედაშვილი, პირველი 21-ან, ხოლო სეორე—23 დეკემბრიდან 1918 წ. ჯამაგირებით თითოს 575 მანეთი თვეში.

მოხალისეთა რაზმის ინტენდანტათ—შტაბს-კაპიტანი ჩახნაშვილი, 1918 წლ. 19 დეკემბრიდან.

მივლინება: შვი ზღვის სანაპირო რაზმის პოდპორუჩიკი თოხაძე—1-ლ გვარდიის პოლკში.

გამწესებულება: სათადარიგოთ მყოფი, პრაპორშჩიკი ზედგინიძე—მე-8 ქვეითა პოლკში მივლინებით გენერალურ შტაბთან.

1 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 3.

მივლინება: მივლინებილი მე-2 საარტილერიო ბრიგადასთან შტაბს-როტმისტრი ნაცვლიშვილი—არმიის საარტილერიო ბრიგადასთან.

დათხოვნილი არიან სამსახურიდან: სურვილი-სამებრ, ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის ტენიკოსი ლომთაძე და იმავე დისტანციის ტენიკოსი მინაფი, სამსახურში გამოუცხადებლობის გამო, 1918 წლ. 1-ლ ოქტომბრიდან.

ინიშნებიან: ქუთაისის სამხედრო ბინათა დისტანციის ტენიკოსებათ—კვარცხავა 1918 წლ. 12 ოქტომბრიდან და მიქელაძე 1918 წ. 1-ლ ნოემბრიდან.

ინიშნებიან დროებით: მინდობილობისათვის მოხელეებათ და ოფიცრებათ, სადამინისტრაციო განყოფილებასთან: შტატს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი ქელბაქიანი—1918 წლ. 23 დეკემბრიდან, სათადარიგოთ მყოფი კოლეესკი სეკრეტარი კვიციძე—1918 წლ. 25 დეკემბრიდან, კოლეესკი რეგისტრატორი ოლენიკოვი—1918 წლ. 24 დეკემბრიდან და შტატ გარეშე მყოფი კოლეესკი ასესორი სეხნიაშვილი 1918 წლ. დეკემბრიდან.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 4

ინიშნება: გადამდგარყოფილი გენერალ-მაიორი სტრელნიცკი ტფილისის სამხედრო საავადმყოფოს სამეურნეო ნაწილში უფროსის თანამშემყოფი.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 5.

ინიშნება: პრაპორშჩიკი ყაზბეგი ჯარების სარდლის პირად აღიუტანტათ, 1918 წ. 17 დეკემბრიდან.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 6.

გამწესებულება არიან: სათადარიგოთ მყოფნი, მე-4 ქვეითა პოლკში, დროებით მივლინებით ტფილისის მაზრის სამხედრო უფროსის განკარგულებით.



ბაში: შტაბს-კაპიტანი კობეშვიძე და პრაპორშჩიკი აღნიაშვილი და პრაპორშჩიკი გელაძე 1917 წლ. 25 დეკემბრიდან.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 7.

ინიშნება: ჩემს განკარგულებაში გენერალ-მაიორი ფურცელაძე (გიორგი) დივიზიის უფროსის ჯამაგირით ამ წლის 10 იანვრიდან.

დათხოვნილია: სათადარიგოთ, ქვეითა ჯარში, ტფილისის მაზრაში, ყოფილ იეგერთა პოლკის პორუჩიკი დარასელია.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 8.

ინიშნება დროებით: გენერალურ შტაბის საოპერაციო სექციის უფროსი გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი ზაქარიაძე ჯარების სარდლის განკარგულებაში, 1918 წ. 27 დეკემბრიდან.

6 იანვარი 1919. ქ. ტფილისი.

№ 9.

გამწესებული არიან: 1918 წლ. 20 დეკემბრიდან, სათადარიგოთ მყოფნი 1-ლ ქვეითა პოლკში: პორუჩიკები ხურციძე და ქუთათელაძე, პოდპორუჩიკები: მდივანი, ცხაკაია, ლამბაშიძე, იოსელიანი, გიგინეიშვილი, პრაპორშჩიკები: გაბუნია, ჭავჭავაძე, იოგრებეცკი, ჯულაბაშვილი, წულუკაძე, ქუმბუზიძე, ფერაძე, ადალაძე, ქიქინძე, მიქაბერიძე, თელიაშვილი, გარგაშვილი, ფორცხლავა, გოდამაძე, ჩეჩელაშვილი, ძნელაძე, შავგულაძე და ქილაძე.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 10.

დათხოვნილი არიან: სამსახურიდან: მანგლისის სანაპირო რაზმის როტმისტრი ყირომსკი, 1918 წ. 31 დეკემბრიდან, საავიაციო გუნდის სამხედრო მოხელე საკოვიხი (გრიგორი).

გამწესებული არიან: 1918 წლ. 26 დეკემბრიდან, სათადარიგოთ მყოფნი, ტფილისის სადარაჯო რაზმში: შტაბს-კაპიტანი ბუაჩიძე, პოდპორუჩიკები: ლორთქიფანიძე (აკაკი), ნეფარიძე (გიორგი), კალაშნიკოვი (ალექსანდრე), პრაპორშჩიკები: ბუაჩიძე (ალექსანტი), ბახტაძე (კლემენტი), მუჯირი (სევერიანე), ბახტაძე (აპოლონ), ამ წლის 3 იანვრიდან; ტფილისის არტილერიის საწყობის უფროსის განკარგულებაში — პორუჩიკი ხოჩოლავა.

გადაყვანილი არიან: შავი ზღვის სანაპირო რაზმის პოდპოლკოვნიკი ქავთარაძე და დარიალის სანაპირო რაზმის პოდპოლკოვნიკი აბრამოვი ერთი მეორის ადგილზედ.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი:

№ 11.

გადამდგარყოფილი არიან: სათადარიგოთ მყოფნი: შტაბს-კაპიტანი ვოდროძე (დიმიტრი), პოდპორუჩიკები: ნაზუქოვე (გიორგი), იარონ სი (აკაკი), თენიაშვილი (დავითი), მოოვზაოვი (ალექსანდრე), ხუროძე (ნიკოლოზი), კორნეტი ანდრონიკაშვილი (არჩილი), პრაპორშჩიკები: ფხოველაშვილი (ნესტორი), ბაბილუა (ვლადიმერი); ფარმაცევტი ცომაია (კლიმენტი).

საფუძველი: მუხლ. 836, 837 და 842 მე-7 წვ. კრებული სამხედრო დადგენილობისა 1869 წლ. გამოცემა მეორე.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 12.

გამწესებულნი არიან: სათადარიგოთ მყოფნი იმ დღიდან, რომლიდანაც ნაწილებში ბრძანებაში იქმნენ გასულნი:

მე-4 ქვე თა პოლკში: პორუჩიკი ნანობოვი, პოდპორუჩიკი პოდკოლზინი. პრაპორშჩიკები: ყარანგოზოვი, ბიბილური, წვერავა, ჭავჭავაძე და ბერიძე.

მე-5 ქვეითა პოლკში: პორუჩიკები რაპავა, შაბურიშვილი. პოდპორუჩიკები: გრიჭურაშვილი, სირაძე, კორნეტი იოსელიანი; პრაპორშჩიკები: ნაფარიძე, ჩოჩია, ქარსელოვი, ცინცაძე, კანდელაკი, საფარავი და ლორთქიფანიძე.

მე-6 ქვეითა პოლკში: შტაბს-კაპიტანი კარლოვი, პორუჩიკები: ჩერქეზიშვილი, მახარაძე, ბეჟანიშვილი, შავიშვილი, გიგინეიშვილი, გორდეზიანი, პოდპორუჩიკები: გულაძე, ჩუგუნძე, ქიქინაძე, კობახიძე, ვაჩნაძე, ცუცქერიძე, პრაპორშჩიკები: კვალიევი, სამადალოვი, შალამბერიძე, სულაძე, კრომერი, კურდოვი, გვალაძე, მხეიძე, ნაცვალაძე და მუსხელიაძე.

6 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 13.

ინიშნებიან: ქართულ ლეგიონში იმ დღიდან, რომლიდანაც ლეგიონის ბრძანებაში იქმნენ გასულნი: პოლკოვნიკი კერესელიძე (ლევ) — ლეგიონის უფროსად. პოლკოვნიკი მალალაშვილი (ნესტორი), კაპიტანი ქვიშინი (პორფირე), პორუჩიკები: სურვილაძე (იოსებ), ლობაძე (სერგო), აშველიძე (დავითი), ფრუიძე (შალვა). პოდპორუჩიკები: ჩხარტიშვილი (პეტრე), ბეჟანიძე (ასლან), ინასარიძე (კონსტანტინე), ახსაბაძე (ივანე), ცავურიშვილი (ალექსანდრე), ჩადუნელი (მიხეილი).

გამწესებული არიან: სათადარიგოთ მყოფნი, დანიშნით ქართულ ლეგიონში: კაპიტანი მარლია-





ნი. პორუჩიკები: ნათიძე (ალექსანდრე), ხვადაგია-ნი (ისიდორე). პოდპორუჩიკები: მალალაშვილი (ლევ), კვანჭახიძე (შალვა), მაჩაბელი (ალექსანდრე), ციხაძე (ნიკოლოზი), ქარუმიძე (გენო), ყანჩაველი (გიორგი), ბრავაძე (დავით), გედევანიშვილი (ირაკლი), ჯაყელი, სოხაძე, ასხაბაძე. პრაპორუჩიკები: ფავლენიშვილი (ირაკლი), ქართველიშვილი (ვატანგი).

ომის დროს სამხედრო მოხელენი—ჯაფარიძე (შალვა), კასრაძე (ნიკოლოზი).

სახედრო მინისტრის მაგიერ გენერალ-მაიორი მდივანი.

10 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 14

ჩემს განკარგულებაში მყოფმა გენერალ-მაიორმა ჩხეტიანმა მოხსენებით შემატყობინა, რომ ბრძანების თანახმად გაემგზავრა ომში 24 დეკემბერს 1918 წელს.

10 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 15

ჩემს განკარგულებაში მყოფმა გენერალ-მაიორმა ჩხეტიანმა მოხსენებით შემატყობინა, რომ ომის ველიდან დაბრუნდა ა. წ. 7 იანვარს.

10 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 16

მიივლინება: სათადარიგოთ მყოფი საალტილერო პიროტეხნიკი პოდპორუჩიკი კვინიკაძე ტფილისის სალტილერიო საწყობში ა. წ. 5 იანვრიდან.

ინიშნება: პრაპორუჩიკი მატარაძე სადგურ ფოთის კომენდანტის თანაშემწედ ამ წლის 2 იანვრიდან.

ომის გათავებამდე საადმინისტრაციო განყოფილებასთან მინდობილობისათვის პრაპორუჩიკი ედიბერიძე 1918 წ. 21 დეკემბრიდან ჯამაგირით 575 მან. თვეში.

10 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 17

აყვანილია სამსახურში თავის გამოჩენისათვის, საინჟინერო ჯარში, პოდპოლკოვნიკის ხარისხში ცალკე საავტომობილო ასეულის უფროსი კაპიტანი გოგიტიძე (ნიკოლოზი).

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 18

ინიშნებიან: 1918 წლ. 18 დეკემბრიდან, მოხალისეთა რაზმში: მაჰმადიანთა მსროლელ დრუჟინის უფროსად—პოლკოვნიკი ედიგაროვი, ქვეით პოლკის უფროსის უფლებებით და ჯამაგირით. მაჰმადიანთა ცხენოსან დივიზიონის უფროსად—პოლკოვნიკი კაჭახიძე, ცხენოსან პოლკის უფროსის უფლებებით და ჯამაგირით.

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 19

ინიშნებიან: ამ წლის 8 იანვრიდან: ჩემს განკარგულებაში—შტატს გარეშე მყოფი პოლკოვნიკი მიურატი, პოლკის უფროსის ჯამაგირით. 1-ლ ცხენოსან პოლკში—შტატს-როტმისტრი ორბელიანი (მაკარი). საავტომობილო გუნდში—პოდპორუჩიკი მირიანაშვილი (შალვა).

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 20

დანიშნული არიან: სამხედრო მსაჯულის დროებით თანამდებობის აღმასრულებლად—კოლონელი სოვეტნიკი დავიდოვიჩი, 1918 წლ. 23 ნოემბრიდან.

პორუჩიკი ზედგინიძე (ვახტანგი)—სამხედრო გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად და უხარისხო ნოზაძე (მიხეილ)—მდივნის თანაშემწედ, 1918 წლ. 25 დეკემბრიდან.

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 21

ინიშნება: ქართულ მაჰმადიანთა განსაკუთრებულ ბატალიონში—პოდპორუჩიკი თენიეშვილი (დავითი).

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 22

ინიშნება: ქართულ მაჰმადიანთა განსაკუთრებულ ბატალიონის პირველ ასეულში ხოჯათ გოლა ხუცენი გოგიტიძე.

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 23

განთავისუფლებულია თანამდებობიდან: სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილების საპენსიო სექციის უფროსი პოდპოლკოვნიკი ნაცვლიშვილი, დანიშნით რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მმართველობის თავჯდომარეთ.

ინიშნება: საადმინისტრაციო განყოფილების საპენსიო სექციის საქმის მწარმოებელი პოდპოლკოვნიკი ცაგარელი (ალექსანდრე) იმავე სექციის უფროსად.

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 24

განთავისუფლებული არიან თანამდებობიდან: ამ წლის 10 იანვრიდან მოხალისეთა რაზმის დაშლის გამო: რაზმის უფროსი გენერალ-მაიორი მალალაშვილი, 1-ლ დრუჟინის უფროსი პოლკოვნიკი ხერხეულიძე, მე-2 დრუჟინის უფროსი პოდპოლკოვნიკი აბესაძე, მე-3 დრუჟინის უფროსი პოლკოვნიკი ინწიკრველი, მაჰმადიანთა მსროლელ დრუჟინის უფროსი პოლკოვნიკი ედიგაროვი და მაჰმადიანთა ცხენოსან დივიზიონის უფროსი პოლკოვნიკი კაჭახიძე.



11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 25

გაუქმებულ იყოს: საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ბრძანება სამხედრო ხარისხისათვის შესახებ 1918 წლ. 3 ოქტომბრიდან № 89, პოდპოლკოვნიკების ჩიქოვანის და კუთელიას შესახებ.

გადაყვანილ არიან: პირველი ქვეითა პოლკის პოდპოლკოვნიკები: ჩიქოვანი მე-3 ქვეითა პოლკში, ქუთელია-დარიძის სანაპირო რაზმში.

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 26

აყვანილ არიან: სამსახურში თავის გამოჩენისათვის, პოლკოვნიკის ხარისხზე, ქ. ტფილისის და მის მიდამოების გერენალ-გუბერნატორი მალაყელიძე (შალვა).

პრაპორშჩიკის ხარისხზე ოფიცერთა მოხალისეთა პოლკის იუნკერი ასათიანი.

11 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 27

დათხოვნილია: სამსახურიდან, შტატების შემოკლების გამო, ავიაციის გუნდის უფროსის თანაშემწე პოდპოლკოვნიკი ვეკიანი.

24 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 15

კომისიას, გენერალ-მაიორის მაჭავარიანის თავმჯდომარეობით, რომელიც დანიშნულია ბრძანებით სამხედრო უწყების მიმართ 13 ენკენისთვიდან 1918 წ. № 80 ყველა საინტენდანტო დაწესებულებათა და სამმართველოთა შესამოწმებლად, ვაკისრებ კიდევ შემდეგის დაწესებულებების შემოწმებას:

1. სასადგომო და საინჟინერო სექციების საწყობებისა, მათ რიცხვში შემის საწყობისაც.
2. სასადგომო სექციის სახერხავისა.
3. საინჟინერო-სატეხნიკო სექციის გარაჟისა და სახელოსნოსი და
4. სამხედრო-სააფთიაქო მაღაზიისა, რომელიც ექვემდებარება სამხედრო სამინისტროს სამხედრო-სასანიტერო განყოფილებას.

აღნიშნულის დაწესებულებების შემოწმების მოხდენის დროს, კომისიის თავმჯდომარემ იხელმძღვანელოს ყველაფერში ჩემი დარიგებანი და ინსტრუქციები თანახმად § I ბრძანებისა ს. უ. მიმართ 1918 წ. № 80.

25 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 16.

თელავის მაზრის შილდის, ყვარელის და აწყურის სოფლების მცხოვრებლებში, როგორც ჩანს მიღებული ცნობებიდან, შეკრიბეს რესპუბლიკის ჯარისათვის 230 ფუთი პურის ფქვილი და უკვე

გადასცეს მეექვსე პოლკს. აგრეთვე ხსენებულ პოლკის ჯარისკაცებმა უარი განაცხადეს ჯამაგირის მიღებაზე და ითხოვეს მათი ჯამაგირი გადაიდვას სამხედრო ფონდში.

ასეთი სასიკადულო საქციელი თელავის მაზრის მცხოვრებლების და მე-6 პოლკის ჯარისკაცებისა დიდათ სასიამოვნო მოვლენა არის ჩვენს რესპუბლიკაში. ეს ნათლათ ჰყოფს, რომ სწორადობამ შეიგნო სახელმწიფოებრივი აზრი და მზათ არის უკანასკნელი წვლილი გაიღოს რესპუბლიკის კეთილდღეობისათვის. ვუცხადებ მხურვალე მადლობას ხსენებულ სოფლების მცხოვრებლებს და მე-6 პოლკის ჯარისკაცებს.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 17.

სათნო დებისათვის დანიშნულ ჯამაგირს, რომელსაც ისინი იღებდნენ აქამდის თანახმად 145 მუხ. 16 წიგ. 1869 წ. გამც. 1915 წ. როგორც ორმაგ საფასურს ავადმყოფის დღიურ ხარჯისას, დღეიდან ესპობ.

ამ საკითხის კანონმდებლობითი წესით გადაწყვეტამდე შტატის თანამდებობაზე მყოფ სათნო დებს ვუნიშნავ თვეურ ჯამაგირად 400 მანეთს და ჯარისკაცის ულუფას უსასყიდლოთ.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 18.

ავადმყოფებისათვის დადებულ დღიურ ხარჯის ფულს, რომელიც დადებული იყო აქამდის სამხედრო სასანიტარო სამკურნალოებში თანახმად ყოფილ კავკასიის ლაშქრის სასანიტარო ნაწილის უფროსის ბრძანებისა 6 მაისის 1918 წ. თარიღით № 6, ესპობ.

დღეიდან, ვიდრე შეცვლილ იქნება შემდეგში, დღიურ ჯამაგირის საფასურად ავადმყოფ და დაჭრილ მხედართათვის საქართველოს ლაშქრისა (როგორც ჯარის კაცისთვის ისე ოფიცრისთვის) და ყველა ადგილებისთვის, სადაც კი სამხედრო სამკურნალოებია, გამტკიცებ 10 მანეთს თითო კაცზე.

შენიშვნა: სათნო დებს ავადმყოფის ხარჯის საფასური ესპობათ.

19 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.  
№ 19

ბრძოლის ველიდან დაჭრილთა და ავადმყოფთა მოსაყვანათ საჩქაროთ შესდგეს „სატვირთო ცხენოსანი სანიტარული ტრანსპორტი“ 1912 წ. № 696 ბრძანებაში გამოცხადებული შემადგენლობის მიხედვით და დამატებით: ტრანსპორტის რწმუნებულის თანამდებობისა ერთეულის უფროსის თანაშემწის ჯამაგირით და მიწერ-მოწერის გამგისა უმცროსი ოფიცრის ჯამაგირით. შედგენილ „სა-



ტვირთო ცხენოსან სასანიტარო ტრანსპორტში“ თანახმად ზემომოყვანილ მუხლსა, ინიშნებიან: 1) რწმუნებულად მოქალაქე ციციშვილი, 3) ტრანსპორტის უფროსად—ბერიძე, 3) საოჯახო ნ.წილის გამგეთ—ხანავა, 4) მიწერ-მოწერის გამგედ—ჩონაშვილი.

20 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 20.

საჩქაროთ გაიხსნას საჯარო საავადმყოფო ოცი ადგილით ქ. გორში. საარტილერიო ბრიგადაში.

20 იანვარი 1919 წ. ქ. თბილისი.

№ 21

გაუქმებულ იქმნას: ომით გამოწვეულ მდგომარეობისა გამო დროებით დაარსებული სასურსათო საწყობი სადგურ აშაღა-სერალში, 16 ამა იანვრიდან.

24 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 22

განსამარტებლად რესპუბლიკის მთავრობის: ბრძანებისა სამხედრო უწყების მიმართ 10 იანვრიდან № 1, ამით ვაცხადებ, რომ საგამომძიებლო კომისიის წევრთ: გენერალ-მაიორ როინიშვილს, პოლკოვნიკ ჯაფარიძეს, პოდპორუჩიკ მონასელიძეს, განსაკუთრებულ მინდობილობათა ხარისხოსანს ჩიკვაიძეს, კომისიის მდივანს შოთნიეგს და თარჯიმანს ნადირაძეს, დღიდან კომისიის დაარსებისა, ე. ი. 5 იანვრიდან მუშაობის დამთავრებამდე, ეძლიოთ დღეში 35 მანეთი, ხოლო კომისიის წევრს აბხაზს ეძლიოს დღეში 50 მანეთი.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

27 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 23

გენერალურ შტაბის სამმართველოდან წესდებათა და დებულებათა მისაღებად აუცილებლად საჭიროა ფულის შეტანა სამხედრო სამინისტროს სამეურნეო ნაწილში, რომლის ხაზინადრისაგან მიღებული ფულის შეტანის ბარათი წარდგენილ უნდა იყოს საორგანიზაციო სექციაში.

სამხედრო მინისტრის მაგიერ გენერალ-მაიორი გედევაწეშვილი.

28 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 24

ვაცხადებ საყურადღებოთ განაჩენის ასლს: სამხედრო სასამართლოს განაჩენიდან მე-4 რაზმის პოდპორუჩიკის მაქსიმე რევიას შესახებ.

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის ჯარების სამხედრო სასამართლომ 1918 წ. ნოემბრის 7-სა დღესა, გენერალ-მაიორის როინაშვილას თავმჯდომარეობით საჯარო სხდომაზე, რომელსაც დაესწრენ სამხედრო ნაფიცი მსაჯულნი, სამხედრო პროკურორის გენერალ-მაიორის ვეზი-

რიშვილის და მდივნის თანაშემწის წერეთლის თანადასწრებით, მოისმინა საქმე მე-280 ქვეითა სათადარიგო რაზმის ყოფილ პრაპორუჩიკის, აწ მე-4 ქართველი რაზმის პოდპორუჩიკის მაქსიმე რევიას შესახებ, წლოვანით 25 წლ., რომელიც მიცემულ იყო სამხედრო სამართალში იმ ბრალდებით, რომ სცემა სახეში და ტანის სხვა ნაწილებში თავის ხელქვეითს ჯარისკაცს ვასილ ნოვაკს, რამაც გამოიწვია უკანასკნელის ავადმყოფობა ტრავმატიულ ხასიათის პლევრიტით, ე. ი. იმ მოქმედებისათვის, რომელიც გათვალისწინებულია 187 მ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წ. მე IV-გამ. და 1489 მუხ. სასჯ. სისხლის სამართლის და გამასწ. დებულებისა.

სამხედრო ნაფიცი მსაჯულთა ვერდიქტით მე-4 რაზმის პოდპორუჩიკი მაქსიმე რევია ცნობილია დამნაშავეთ მასში, რომ, როდესაც იგი იყო სამხედრო სამსახურში პრაპორუჩიკათ 280 ქვეითა სათადარიგო რაზმში, მან, რევიამ, 22 იანვარს 1917 წ. განზრახ სცემა თავის ხელქვეით ჯარისკაცს ვასილ ნოვაკს, რასაც უკანასკნელის ჯანმრთელობისათვის არ გამოუწვევია არაფითარი შედეგები და უდანაშაულოთ იმაში, რომ ვითომ განზრახ ცემით იმავე დროსვე და იმავე ჯარისკაცის ვასილ ნოვაკისა გამოეწვიოს უკანასკნელის ავადგახდომა ტრავმატიულ ხასიათის პლევრიტით.

ამის და მიუხედავათ და თანახმად მე-7 და 185 მუხლის ს. დ. კ. 1869 წ. მე XXII წ. გამს 4. 910, 915, 1128 და 1155 მუხ, მუხ. მე XXIV წ. მე-4 გამ. იმავე კრებულისა, საქართველოს რესპუბლიკის ჯარის სამხედრო სასამართლომ დაად განა:

1) მსჯავრქვეითი მე 4 რაზმის პოდპორუჩიკი აქსიმე რევია, 25 წლ., დატუსაღებულ იქნას ორი კვირით სადისციპლინო წესდების წესით,

2) სასამართლოს ხარჯები, გაწეულნი ამ საქმეზე, ანაზღაურებულ იქმნას მჯავრქვეითის ქონებიდან, ხოლო მისი შეუძლებლობას შემთხვევაში მიღებული იქმნას ხაზინის ხარჯზე და

3) იმ ბრალდებაში, რომელიც მას ედება. იმ მოქმედებით, რაც გათვალისწინებულია 187 მუხ. ს. დ. კ. 1869 წ. XXII წ. გამ. 4 და 1489 სისხ. მართ. სასჯ. და გამასწ. დებულებისა, ცნობილ იქმნას იგი უდანაშაულოდ და სასამართლოს მიერ გამართლებულად ამ ბრალდების დაუმტკიცებულობის გამო.

22 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 25

§ 1

გასული წლის 25 დეკემბერს შედგენილი ოფიცერთა რაზმი გაუქმებულ იქმნას ამა წლის 1 თებერვლიდან.



ქონება გადაეცეს სამხედრო სასწავლებლის უფროსს. ოფიცრები გაიგზავნოს ჩემდამი რწმუნებული სამინისტროს პიროვნულ შემადგენლობის განყოფილების უფროსის განკარგულებაში. აღსრულებისა თანავე მეცნობოს.

§ 2

ომის დროს შედგენილი მე-2 განსაკუთრებული სამთო ბატერია ახლავე გაუქმებულ იქმნას. მატერიალური ნაწილი გადაეცეს სარტილერიო სექციის უფროსს. პირადი შემადგენლობა რამდენიც საჭირო იქნება სრულ შტატამდის შესავსებლათ გადაეცეს ცხენოსან სამთო ბატარეის უფროსს, სხვა კი გადაეცეს სალაშქრო სარტილერიო ბრიგადის უფროსს.

ცხენები გადაეცეს სანაპირო ჯარის უფროსს აღსრულების თანავე მეცნობოს.

28 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 26

სამხედრო ჰოსპიტლის სამეურნეო ნაწილის და საქმის წარმოდბის განსახილავად და რევიზიზ მოსახდენად ვნიშნავ ზომისიას გენერალ გაბაშვილის თავჯდომარეობით, რომლის წევრებათ იქნებიან: გენერალ-მაიორი არდიშვილი, ქუთაისის ჰოსპიტლის სამეურნეო ნაწილის უფროსი ამბოკაძე, ტფილისის ჰოსპიტლის უფროსი ორდინატორი ჯავახიშვილი და წარმომადგენლები სამხედრო სამინისტროს საადმინისტრაციო განყოფილებიდან მოხვლე სენიაშვილი და სასადგომო სექციიდან ინჟინერი ქვარიანი.

კომისია სისწრაფით შეუდგეს მუშაობას და წარმომადგინოს ყოველივე საბუთები და აქტები.

13 დეკემბერი 1918 წ. ქ. ტფილისი.

№ 27

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილები თანახმათ, ვბრძანებ შესდგეს „შტატის პროექტი“ საფუძველზედ ოფიცერთა ქვეათი რაზმი ორი ათასეულის შემადგენლობით სათადარიოთ მყოფ ოფიცერთაგან.

რაზმის შედგენას ვავალებ პოლკოვნიკ ნარიკელაძეს. რაზმის შესავსებათ შეიძლება დაშვებულ იქმნას აგრეთვე არა ოფიცრებიც, თუ ეს უკანასკნელნი მობილიზაციით ჯარში გაწვეულნი არ არიან, სახალხო გვარდიელების უფლებებით.

30 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 28

სასომხეთის რესპუბლიკასთან ეხლა-ხან გათავებულს ომანობაში მობილიზაციის და ოპერაციის წარმოების დროს შეჩინული იყო მრავალი ნაკლი. ვცნობ რა ესეთს მოვლენას შეუწყნარებლად, საჭიროდ ვთვლი ყურადღება მივაქციო შემდეგს:

1 ჯარებით თავის მოყრის დროს ზოგიერთი ნაწილები განსაკუთრებით პირველი დივიზიისა, მი-

ემგზავრებოდნენ ფრონტზე უპირატესის და გამოცდილის უფროსების უყოლელოდ, ბატალიონებს ხშირად მიდიოდნენ ახალგაზრდა ობერ-ოფიცრების უფროსობით. მესამე პოლკის ბატალიონი მივიდა უუფროსოდ.

2. პირველის პოლკის ბატალიონი ფრონტზე მივიდა ტყვიის მფრქვეველთა გუნდის უყოლელოდ.

3. სასიხარულო მოვლენად ჩაითვლება მეექვსე პოლკი, რომლის ნაწილები გამოცხადდნენ ფრონტზე სრული დ მზადმყოფნი ბრძოლისათვის, ყველაფრით მომარაგებულნი, და თავის თავმოკრეფილობით წარმომადგენდნენ სრულებით მზა ჯარის ნაწილს.

პოლკის უფროსობის მთელს შემადგენლობას პოლკის უფროსიანად ვწირავ გულითადს მადლობას პოლკის მშვენიერს მდგომარეობაში ყოფნისათვის.

4 ჯარების კვება და პროდუქტების მიზიდვა საზოგადოდ საკმარისად იყო მოგვარებული, მხოლოდ ნივთებით კმაყოფისა და შეკავშულობაში იგრძნობებოდა მოუგვარებლობა.

სადმინისტრაციო განყოფილებაში ყველა აგენტები არ შეეფერებოდნენ თავიანთ დანიშნულებას, იგრძნობებოდა და კიდევ შეიმჩნეოდა უპასუხისმგებლობა, რასაც უმთავრესად ჰქონდა გავლენა სხვა და სხვა გვარის კმაყოფის დაგვიანებით მიწოდებაზე.

5. ოპერაციის დასაწყისში კავშირის სამსახური არ იყო სრულებით მოგვარებული. ტელეფონები მოშლილები მიჰქონდათ.

ეს ნიშნავს ნაწილში კავშირის სამსახურის უფროსის დაუდევრობას. მისი ერთადერთი და სამუდამო, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომიანობის დროს, მოვალეობა არის კავშირი და, თუ ეს არ არის, ის ზედმეტია, ის უნდა შეცვლალ იქნას უფრო კეთილსინდისერის და გაგებულის ოფიცრით. ასეთები კი, ღვთის მადლით, ჩვენში ბევრია.

ნაწილების უფროსებმა ამ საქმეს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

6. სამხედრო სასანიტარო დახმარება ფრონტზე თითქმის სულ არ ყოფილა. ამ მხრით შეიმჩნეოდა შეუწყნარებელი ქაოსი და სრული უთავობა. ნაწილები ფრონტზე მიდიოდნენ უექიმებოდ და უსანიტარებოდ. სასიამოვნო გამონაკლისს შეადგენდა მეშვიდე საჰაუბიციო ბატერია (პოდპოლკოვნიკი ვანაძე), სადაც უკლებლად იყვნენ ექიმები, ბეითლები, სასანიტარო საწიკავი და წამლეულობა. ექიმებს ხშირად გამოუჩენიათ გულგრილობა შეუწყნარებელი და დანაშაულობრივიც კი. საზოგადოდ სამხედრო-სასანიტარო საქმემ ამ ოპერაციაში გვა-



ჩვენა თავისი სრული მოუწყობლობა.

სამხედრო სასანიტარო განყოფილების უფროსისგან ველი დავწვრილებითს მოხსენებას ნაჩვენების ნაკლის ასაცილებლად მის მიერ მიღებულის ზომების შესახებ.

13 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 29

მთავრობის დადგენილობის თანახმად ვბრძანებ ახლავე დაიწყოს დემობილიზაცია, რისთვისაც:

1) სამხედრო ნაწილები, გარდა იმ ჯარებისა, რომელნიც გენერალ-მაიორი მაყაშვილის რაზმში შედიან, გაგზავნილ იქნან თავიანთ ბინადრობის ადგილზედ, სადაც მოხდება მობილიზაციით გამო მოწვევულთ 1892, 1893, 1894, 1895 წლებში დაბადებულთა და ყველა მოხალისეთა სათადარიგოთ დათხოვნა;

2) გენერალ-მაიორის მაყაშვილის რაზმის დემობილიზაცია მოხდეს ადგილობრივ;

3) დათხოვნილებმა თან წაიღონ მთელი ხაზინიდან მიღებული ტანისამოსი, იმ პირობით, რომ თუ ექვსი თვის განმავლობაში ისევ მოწვეულ იქნებიან, ისინი უნდა გამოცხადდენ იმავე ტანისამოსით; ექვსი თვის შემდეგ ტანისამოსი გადადის სრულ მათ საკუთრებაში;

4) იარაღი, ვაზნები და მთელი შესაიარაღებელი მოწყობილობა უთუოთ უნდა ჩაბარდეს ჯარების ნაწილებს; ნაწილების უფროსებმა განუმარტონ დათხოვნილებს, რომ ამის აღსრულებლობისთვის დამნაშავენი საგანგებო სამხედრო სასამართლოს წინაშე იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი.

5) ნაწილების უფროსებმა დათხოვნილები გაგზავნონ ოფიცერთა უფროსობით სამაზრო სამხედრო ბეგრის უფროსებთან დასათხოვნი ბარათებით და საარმატურო სიებით, უკანასკნელი ორი ეგზემპლიარით, რომ ლთაგანაც ერთი რჩება სამხედრო ბეგრის უფროსთან, მეორეს, შემოწმებულს კი ეს უკანასკნელი აბრუნ ბს ნაწილში.

2 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 30

თანახმათ მთავრობის გადაწყვეტილებისა ვაცხადებ, რომ ღრიური სარგო საქმეზე გაგზავნილთათვის იყოს მიღებული სამი თუმნიდან ხუთ თუმნამდე და ბილეთის ფსი მესამე კლასიდან პირველ კლასამდე. საფუძველი: მთავრობის სხდომის ჟურნალები მუხლი პირველი, ლიტ გ. ნ სექტემბერს და 28 ნოემბერს 1918 წლისა.

5 თებერვალი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 31

ამით ვაცხადებ, რომ რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებაში, სამხედრო უწყების მიმართ ამა წლის 10 იანვრიდან № 1 § 1, განსაკუთრებულ საგამომძიებლო კომისიის წევრთა შორის შეცდომით გამოტოვებულია, განსაკუთრებულ მინდობილებათა შტაბ-ოფიცერი პოლკოვნიკი ჯაფარიძე.

პოლკოვნიკი ჯაფარიძე ითვლება ხხენებულის კომისიის წევრად ამა წლის 5 იანვრიდან.

სამხედრო მინისტრი გიორგაძე.



უფროსი უნტერ-ოფიცერი შალვა პლატონის-ძე სილაძე, გმირულად იბრძოდა სხვა და სხვა ფრონტზე ჩვენი მტრების წინააღმდეგ; სომხებთან ბრძოლის დროს მიიმეღ კრილობის გამო გარდაიცვალა.

### არა ოფიციალი განყოფილება.

ტფილისი, 9 მარტი.

რამდენი ომი გარდაიხსადა ვამარჯვება.

ტარს საქართველომ! რამდენი თავდასხმა მოიგერა და რამდენი დროზე მიღებული ზომებით შეახერხა.

იქ, სადაც სიტყვა იყო საჭირო და იგი გასჭრიდა, საქართველო იქ სიტყვით და ფაქტებით იბრძოდა.

იქ, სადაც მას ხმალი მოუქნიეს, — მან ხმალს ხმალი შეაგება. და მას, მისიდან მოყოლებული, არ ქონია არც ერთი თავისუფალი უქმე დღე, არ დაუსვენია მას და მუდამ ბრძოლაში გაბმული დაუდგრომლათ ქვეყნის, სასლმწიფოს ამენებისა და დამკვიდრების საქმეს თავდადებულათ განაკრძობდა და განავრძნობს. ერთი მისანი აღაფრთოვანებდა ამ საქმეს, ერთი მისანი იტაცებდა და ასულდგმულებდა; გადაუტყვლათ ხდიდა ამ ბრძოლას. ეს იყო: საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის და მისი დემოკრატიული წესწეობილების





დაცვა. ხალხის მებრძოლი შვილები — ჯარი და გვარდია — ზირველნი იდგნენ ბრძოლის ველზე საქართველოსკენ მიმართულ ტყვიას გულს უშვერდნენ, — სამძობლოს ენაცვალებოდნენ! ასე იყო ბოლშევიკურ რეაქციასთან ბრძოლაში, ოსმალეთთან ომში, სომხეთის მუსხანათურ თავდასხმის დროს, დენიკინის წინააღმდეგ თავდაცვაში და ასეა დღესაც, როდესაც ჩვენმა შინაურმა მტრებმა და ორგულებმა ახალციხის მახრამი აჯანყება მოაწყვეს.

რევოლუციისაგან დამფრთხალმა და დემოკრატიის მოძულვარე ბეგებმა არ დაბუჯნეს და შეეცადნენ საქართველოს მთლიანობის გარღვევას, რომ ამით თავისი ჯგუფური ინტერესები დაეცვათ და ფეოდალური ბატონობა შეენარჩუნებიათ, მაგრამ დემოკრატია ვერ მოითმუნდა მის წინააღმდეგ გალაშქრებას და მანაც იარაღს იარაღი დაუპირდაპირა. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ჩვენმა ჯარმა კვლავ აიღო ქალაქი ახალციხე. ჩვენ თავიდანვე გვწამდა, რომ ნიადგე გამოცლილი ბეგების ბრძოლები ძლევამოსილ დემოკრატიის ჯარს ვერ გაუძლეავდებოდნენ. ჯარმა ჩვენი იმედი გაბამართლა. გვწამს, რომ ახალციხის მახრამ ჩვენი ჯარის მიერ სულ მალე გაიწმინდება ვერაც მტრისაგან და პროკოპაციის კლანჭებისაგან განთავისუფლებული სამუსლიმანო საქართველო თავის ძმას, საქრისტიანო საქართველოს მალე დაუბრუნდება და გაერთიანებული საქართველო გასწევს პროგრესის გზას ბრწყინვალე მამავლისაგან.

**ოფიცრთა საპითხი ჯარში. \*)**

გ) პრაქტიკული საკლასო მაცადინეობა: შეთვისება საბრძოლველ წყობისა და რიგისა ათეულებში, ასეულებში და ბატალიონებში, ესკადრონებში და ბატარეაში; ადგილობრივად შეფარდება საბრძოლველ წყობისა და რიგისა. სასროლ და საარტილერიო პოზიციების არჩევა; საბრძოლველ რიგებში

(იხ. „რ. ჯარი“ № 13).

კავშირის მოწყობა; ქვეითა ჯარის სამხედრო ცხენსაგეზო მეთვალყურეთა მუშაობა; დაცვა დასვენების დროს ასეულისა და ბატალიონისა; საბრძოლველი მოქმედება დამცველ ნაწილებისა; საჩვენებელი და საცდელი ამოცანები წვრილ ტაქტიკურ ერთეულთა, რომელნიც უფრო მსხვილ ერთეულების შემადგენლობაში მოქმედებენ. ყოველგვარ ტაქტიკურ მეცადინეობის დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს გარკვევით, ცხადთ და შეგნებულათ გასაცემ ბრძანების ცოდნას, მოხსენების შედგენას, და ტაქტიკურ ამოცანების ახსნის დროს სამაგალითო და საჩვენებელ, ლოდიკური გზით გარკვეულ დასკვნამდე მისვლას და მისი ასრულებას.

ყველა საკლასო პრაქტიკული მაცადინეობა უნდა იყოს მოსამზადებელი წვრთნა საველე პრაქტიკულ მაცადინეობისათვის. ეს უკანასკნელი, შეიცავს რა ტაქტიკურ ამოცანათა განსაზღვრულ რიგს, უნდა წარმოებდეს არა მარტო ხაფხულობით, არამედ ზამთრობითაც, როგორც ველათ გასვლით სპეციალურათ ტაქტიკასათვის დანიშნულ დროს, აგრეთვე იმ საათებშიც, რომელიც სხვა საგნებს შემდეგ თავისუფალი დარჩება. სახაფხულო საველე ტაქტიკურ მაცადინეობას უნდა დაეთმოს საკმარ დრო, რათა ჯარის საველე სამსახურის ყველა განყოფილება მოსწავლეების მიერ კარგათ იქნეს შეთვისებული და თვითეული საველე ტაქტიკური ამოცანა კი ხელმძღვანელების მიერ საბუთიანად გარჩეული. ამ მიზნით მოსწავლეთა რიცხვი ერთ პარტიაში 10—12 არ უნდა აღემატებოდეს. რამდენათ უფრო მეტი დრო დაეთმობა საველე ტაქტიკურ მაცადინეობას, მით უფრო მოსალოდნელია წარმატება; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ საპატიო განყოფილებას, რომელიც ტაქტიკური მომზადების გვირგვინია, უნდა მიექცეს არა ნაკლებ სამი კვირისა.

- არტილერიის პროგრამის კურსი უნდა იყოს:
1. მოკლე ელემენტარული ცნობა თოფის წამლის ღირებებისა და მისი მოქმედების შესახებ
  2. ელემენტარული ცნობა თანამედროვე არტილერიის მატერიალური ნაწილის მოწყობილების შესახებ; ყუმბართა ტიპი და მათი მოწყობილება.
  3. სხვა და სხვა სახის არტილერიის ცეცხლის ხასიათი.
  4. ხელით სასროლ იარაღის და ტყვიის მტყორცნელების მოწყობილება.
  5. მოკლე ცნობა არტილერიისა და ხელის იარაღისა, რომელიც მეზობელ სახელმწიფოშია შემოღებული.
- სპეციალისტ-არტილერისტ მოწაფეთათვის ეს ცნობა გაფართოვებული უნდა იყოს. ფორტიფიკაციის პროგრამა:





1. მნიშვნელობა ფორტიფიკაციისა საერთოდ და კერძოდ საველე სიმაგრეებისა.

2. თვითშემოსანგვრა; უბრალო ტიპის სანგრების თანდათანობითი გაუმჯობესება. თავდაცვის ნასკვები, პოზიციების შემდეგი გაუმჯობესება. მასალები სანგრების მოსაწყობათ და მათი მომზადადე.

3. ხელოვნური დაბრკოლებანი; მათი მნიშვნელობა, მოწყობილება და ხმარება.

4. გამაგრებული პოზიცია; ხეოსაწყო გასამაგრებლათ სიმაღლეებისა და ცალკე შენობათა.

5. საერთო ცოდნა თანამედროვე ციხეების მოწყობილების.

მოკლე ცნობანი ხელოვნურ აღნაგობათა შესახებ, მათ დანგრევათა, გაფუჭებათა, და გასწორებათა შესახებ.

7. ჯარის სატელეფონო საქმე.

ი-მე.

### როგორ უნდა გამოვიყენოთ ცხენოსანი ჯარი მოპირდაპირის ფრონტის გარდევის დროს\*).

§ 5.

ბრძოლა მოპირდაპირის გამაგრებულ პოზიციის ასაღებათ, სათანადო რაპორტითა. მაგრამ დღეს დღეობით იგი იმდენათ რთულია, იმდენ ძალას და საშუალებას მოითხოვს, რომ მან დამოუკიდებელი რაპორტის ხასიათი ეძლევა. ასეთი რაპორტის პლანის გამომუშავების დროსაც არც ცხენოსანი ჯარი უნდა იქმნეს დავიწყებული. მანაც უნდა მოუტანოს საერთო საქმეს მაქსიმუმი სარგებლობისა.

§ 6.

თუ ვსურთ, რომ კავალერიაში კარგათ გამოიყენოს ქვეითი ჯარის მიერ ფრონტის გარდევა, იგი თავის დროზე უნდა მიუშვათ საქმეზე. ეს პირობა უსათუოთ უნდა იქმნეს დაცული. როგორც კი შიატოვებს, ზარბაზნის ცეცხლით და ქვეითა ჯარის ერთი შეწყუბებული მოპირდაპირე გამაგრებული სრკლის უკანასკნელ ხაზს, იმ წუთსვე უნდა დაეცეს მას თავს ჩვენი კავალერია. ასეთ მომენტში ერთს ესკადრონს სასწაულები შეუძლია მოიქმედოს, რომელნიც ერთი საათის შემდეგ მთელი დივიზიისთვისაც შეუძლებელი შეიქმნებიან. საუბედუროთ უკანასკნელი ომის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კავალერია ვერას დროს ვერ სარგებლობდა, სხვა და სხვა მიზეზების გამო, ასეთი მომენტით და ისე გვიან ერეოდა საქმეში, რომ მისი თავგანწირულება ამოთ რჩებოდა.

\* იხ. „რ. ჯარი“ № 13.

აქედან უნდა დავსკვნათ, რომ კავალერიის დროს უკეთესი მეთოდი სათანადო ადგილს და მის დაჭერას რგებს ქვეითა ჯარის უაღრესა მნიშვნელობა საქმ.

§ 7.

როგორც კი შეუდგება ჩვენი არტილერიისა მოპირდაპირის ფრონტის საიერიშოდ შემზადებას, კავალერიაც უნდა მოგროვდეს ჯგუფ-ჯგუფათ იმ ნაწილების ზურგში (3—4 ვერსის მოშორებით), რომელნიც საიერიშოდ არიან გამზადებულნი. თავსაყარი ადგილი შეუჩინეველი უნდა დარჩეს მტრისთვის, თორემ მისი არტილერია დაზარალებს ჩვენ კავალერიას და სათუოთ გახდის მის იერიშს.

§ 8.

თავის თავად იგულისხმება, რომ მთელი დივიზიის ერთ ადგილზე თავის მოყრა არაა საჭირო, ასეთი დიდი მასისთვის (ფრონტის გარდევას თუ მოპირდაპირის სრული დემორალიზაცია არ მოჰყვა ფართო ფრონტზე) საქმეც არ ექნება საკმაო. პატარა ნაწილი კი, თუ ის დროზე მივახლოთ საჭირო ადგილს და ენევიულათაც შეუდგავ არღვეულ ადგილზე მოქმედებას, უსათუოთ შეტყმნის შემდეგ ისეთს პირობებს, რომ დიდმა ნაწილებმაც შესძლონ სარბიელოზე გამოსვლა.

მაშასადამე ჯგუფ-ჯგუფათ თავმოყრილი ცხენოსანი ჯარის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ერთს პოლკს. თავმოსაყარი ადგილის არჩევანი საიერიშო ფრონტისა და ადგილ მდებარეობისაგანაა დამოკიდებული.

§ 9.

თავმოყრის წესი: პოლკები ესკადრონებათ უნდა იყვნენ დაწყობილნი. ეს შემდეგს ნიშნავს: ესკადრონები ერთად კი არ უნდა დაჯგუფდნენ, როგორც სარეზერვო კოლონაში, არამედ ცალცალკე და ადგილმდგომარეობასთან შესამებთ ისე რომ მათ სავსებით უნდა გამოიყენონ თავდასაცავათ ადგილობრივი პირობები. ასეთ შემთხვევაში მოპირდაპირის არტილერიის ვეღარ გაიხდის სასროლო მიზნათ მთელს პოლკს.

ტყვიის მფრქვეველები სარეზერვო ესკადრონებში უნდა მოთავსდნენ: შტანდარტი-დივიზიის შტაბში, რომელიც სარეზერვო პოლკთან იქნება. როდესაც სარეზერვო პოლკიც ჩაერევა საქმეში, პოლკების შტანდარტები ქვეითა ჯარის რეზერვებთან უნდა იქმნენ გადატანილნი.

§ 10.

ყოველ პოლკს უნდა ჰქონდეს არა ნაკლებ ორი მადლა (ცხენოსანზე) სატარებელ ზარბაზნისა. მათი ამოქმედება პოლკის უფროსისაგან უნდა იყოს დამოკიდებული. დანარჩენი ზარბაზნები რომელიმე პოლკში იქნებიან მოთავსებულნი, დივიზიის უფ-





როსის განკარგულებისამებრ. რითაა სასარგებლო ასეთი დანაწილება? კავალერიასთან ერთად არტილერიაც თავის დროზე მიიღებს მონაწილეობას მოქმედებაში. მისი ცეცხლი, დაშლილსა და უკუქცეული მტრის წინააღმდეგ, დიდათ შეუწყობს ხელს საქმის კარგათ დაგვირგვინებას.

§ 11.

საარტილერიო შემზადების დროს, სათანადო აღვილს, დაჯგუფულოს კავალერიას საკუთარი ნაწილები უნდა ერთყენ, რომელთაც კავშირი უნდა ჰქონდეთ ქვეითა ჯარის იმ ნაწილთან, რომლის უკანაც ისინი იმყოფებიან.

§ 12.

პოლკის უფროსებმა უნდა მიიღონ ზომები, რომ გააცნონ ვისაც ჯერ არს, რა მიზანს ისახავენ ქვეითა ჯარის ნაწილები, რა გზით აპირებენ მის მიღწევას და როგორ მიდის საქმე. მხოლოდ ამ გზით შესძლებს ცხენოსანი ჯარი დროზე ჩაერიოს საქმეში და შეუდგეს მტრის დევნას.

ზომები ასეთი შეიძლება იყვნენ: ა) განსაკუთრებულ პირებს, სახელდობრ ოფიცრებს, უნდა დაევალოს განუწყვეტლივ აძლიონ თავის პოლკის უფროსს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ სწარმოებს ბრძოლა, რა შედეგები გამოიღო ქვეითა ჯარის შეტევამ, და რამდენათ მიაღწია მან მასთან. ბ) უნდა არსებობდეს განუწყვეტელი და მტკიცე კავშირი, როგორც ასეთ ოფიცრებთან, ისე წინ და გვერდებს მდგომ ნაწილების უფროსებთან. საერთო აზრი ამ ცნობებისა. ისევე როგორც მდგომარეობის დამახასიათებელი ამბები, უნდა ეცნობოს აგრეთვე საცხენოსნო დივიზიის შტაბს.

**სამხედრო დებულებათა აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჯარისათვის\*).**

ყველას ესმას დღეს წესდებათა აღმზრდელობითი მნიშვნელობა? — არა. მოჰყავთ უარყოფილი მაგალითები თბილისის ცხოვრების ახალ წარსულიდან, როდესაც ჯერ კიდევ ცხოვრება ჩამოყალიბებული არ იყო. შარშან, სამსახურის საქმეების გამო, ჩვენ გვექონდა შემთხვევა ქალაქის საყარაულოები დაგვეთვალეიერებინა და რა ვნახეთ: 1) სატუსალოში № 2 ჩემი მისვლის დღეს თავის მოვალეობის ასასრულებლათ არ გამოცხადდა დარაჯი ოფიცერი; 2) სანივთო საწყობების უფროსმა ითხოვა დარაჯი არ დაენიშნათ; საწყობების დასაცავათ დაქირავებული იყო კერძო პირები, რადგან ჯარისკაცები თვით უწყობდენ ხელს სახაზინო ნივთების დატა-

ცებას; 3) პიროქსილინის საწყობში, სადაც ინახებოდა 14 ათასი ფუთი ასაფეთქებელი მასალისა, რომლითაც მთელი ქალაქის ნახევარი შეიძლება აფეთქებულიყო, — აქ ნახევარი რიცხვი დარაჯებისა არ იყო, — ქალაქში გასულიყო, ახალწლის შესახვედრათ; 4) საარტილერიო საწყობში სჩოდენ, რომ ყარაულები თოფებს იპარავენ და სხვა მცარცველებსაც ხელს უწყობენო. არც სადარაჯო ნაწილის უფროსებს გააჩნათ ინსტრუქციები. საპოსტო უწყება არეულ დარეული იყო. არც ერთმა დარაჯმა თავისი მოვალეობა არ იცოდა, არავინ მათ თვალყურს არ აღევნებდა. ეს საკმარისია იმის გასაგებათ, თუ რაოდენ ცუდათ იყო დაყენებული საქმე. ეს ეხლა, რასაკვირველია, არ არის. მაგრამ ზოგიერთი საბუთის მიხედვით, მაინც შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ეხლაც ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არაა. აი ამიტომაც ამ სტრიქონებს ვუძღვნი ყველა იმ უფროსებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ჯარში აღმზრდელობითი მუშაობის გაწევა, აგრეთვე შინა სამსახურის და საგარნიზონო სამსახურის აღსრულება და ამ სამსახურზე თვალყურის გდება.

ჯარისა და სახელმწიფოს ინტერესის გულისთვის ყველა, ვინც აწავლის და ზრდის ჯარს, უნდა გაიშქვალოს იმ დიადი მნიშვნელობის შეგნებით, რომლითაც სამხედრო დებულებანი და წესდებანი აღტურვილნი არიან და ჯარის გაწვრთნასთან ერთად ესწრაფონ აღზარდონ იგი მხედრულათ და მოქალაქეობრივათ, რაც ამ წესდებებიდან პირდაპირ გამომდინარეობს. აქამდე უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ სამწყობრო და თან სატაქტიკო მუშაობას. მრავალი უფროსი მარტო სააღლუმო მხარეს აქცევდა ყურადღებას. ჯარის შინაურ ცხოვრებას და აღზრდას ცოტა აქცევდა ყურადღებას და ისიც შაბლონური წესით.

ყაზარმებში ჯარის აღზრდა მინდობილი ქონდათ გუნდის უნტერ-ოფიცრებს, მათ უნდა აეზარდათ სამხ. დრო და მოქალაქე — პიროვნება, მაშინ როცა თვითონ შეგნებით მოსწავლეებზე მალლა არ იდგენ. ამიტომაც ისინი უმთავრეს ყურადღებას აქცევდენ გარეგან მხარეს და ზეპირობას. ცხადია, ამგვარ სისტემას გვერდი უნდა ავუხვიოთ. ჯარისკაცის აღზრდაში დაინტერესებული უნდა იყოს არა მარტო უნტერ-ოფიცერი, არამედ ყველა.

(გაგრძელება იქნება).

ა. ბ.

**ნასიონალიზაციის მკვერტი**

კარჩაკეტილ ყაზარმებში და კორპუსებში აღზრდილებს, ბავშობიდანვე სამშობლო კერას მოწყვეტილებს, რუსულ ყაიდაზე გაწვრთნილებს, ნახევრათ გადაგვარე-

\* ) იხ. «რ. ჯ.» № 13.







ბულებს, რასაკვირველია, გაუძნელდებოდა დედა ენაზე თავისუფლად და ლამაზად თვისი აზრის გამოთქმა.

უმთავრესად ამ მიზეზით ნაციონალიზაციის საკითხი ჩვენ ჯარში ვერ არის ჯერეთ შესაფერ სიმალღეზე აყვანილი. სრული იმედია თანდათან გაუმჯობესდება საქმე, მხოლოდ აუცილებლად საჭიროა მეტი მხნეობა და გარჯილობა.

მხედრები, რა დასაფიცია, მშვიდობიან დროს ფუქსავატურ ცხოვრებას მისდევენ. არც ერთ წრეში, პროფესიაში, არ კლავენ იმდენ თავისუფალ დროს ბანქოს, ბილიარდის თამაშში, ქეიფობაში, რამდენსაც სამხედრო სამსახურში. რასაკვირველია, გამონაკლისით. ყველაზე ცუდი არ ითქმის. ბევრი ნიჭიერი, გამოცდილი ოფიცრობა ამშვენებს ჩვენ ჯარს და რომ მოინდომონ, საქმეს გულთ მოკიდონ, ჯარის საქმეს ყოველმხრივ გააუმჯობესებენ.

ეხლანდელი მხედრების მდგომარეობა არა ნორმალურია, მისჩერებიან და უცდიან მზამზარეული სპეციალური სამხედრო ლექსიკონის ზევიდან მიღებას, თავის წვლილის შეტანა ვერ მოუხერხებიათ. მასლაათი, საუბარი ძველებურად სწარმოებს შტაბებში და დაწესებულებებში. ამის საწინააღმდეგო ბრძანებები სავსებით არ შესრულდება, უნდა დაევალოს უფროსებს, რათა მათი ხელქვეითი ოფიციალურ ქაღალდებს სწერდნენ ენის კანონების მიხედვით. შეცდომებით დაწერილი მოხსენებები მახლობელმა უფროსებმა არ უნდა მიიღონ ხელქვეითთაგან.

ყველაზე მეტი სიფრთხილე და დაკვირება ამ მხრივ მოეთხოვება ცენტრალურ უმაღლეს დაწესებულებებს და მათ სპეციალურ ორგანოებს. უნდა მიექცეს დიდი ყურადღება ერთნაირ და სწორე ტერმინოლოგიას, სამხედრო საგანთა სახელწოდების დადგენას.

კამათი და მსჯელობა ნაციონალიზაციის შესახებ სამხედრო წრეებში ბევრია. ყოველ მხრივ აშუქებენ საკითხს, მაგრამ პრესაში კი არ ვაისმის მათი ხმა. საზოგადოებას, ფართო მასას მათი არა ეყურებარა. არამც თუ საზოგადოდ პრესაში, სპეციალურ ჟურნალშიდაც იშვიათად თანამშრომლობს ოფიცრობა, ერთი მეორეს თავიანთ აზრს და შეხედულებას არ უზიარებენ. „რესპ. ჯარის“ თითქმის ყველა ნომრებში შედარებით, პატარა ჯგუფი ავტორებისა ათავსებენ თავიანთ წერილებს. მათ რიცხვში სამოქალაქო პირნიც შედიან. ჯარის საკიობოროტო საკითხებზე იმდენი სათქმელი არავის არ აქვს, რამდენიც თვით ჯარის წარმომადგენლებს. მათი ხმა კი არ სჩანს. თვით მხედრობა უნდა დაინტერესდეს ჯარის ჯეოგრაფიკულ სიმაღლეზე აყვანით. სადაც კი ოფიცრობა თავს მოიყრის, მუსაიფი რუსულად სწარმოებს. ბრძანებები საქმეს ვერ შველიან. არამც თუ კამათი, მიწერ-მოწერაც ნახევრად რუსულად სწარმოებს. უფროსები შესაფერი სიმტკიცით არ მოითხოვენ ამას, თორემ არც ასე გამოვიდოდა. კარგი იქნებოდა ცენტრალურ დაწესებულებებს მოეწვიათ მცოდნე გამოცდილნი პირნი, შეედგინათ სხვა და სხვა სახმარი და საჭირო ანგარიშების, მიწერმოწერის და ოფიციალურ ქაღალდების ერთგვარი ფორმა საჭიროა მიწერმოწერაში ხმარებული უსაჭიროეს ტერმინების პატარა ლექსიკონის შედგენა. სამხედრო უწყებაში იხმარება ბევრი სპეციალური გამოთქმანი, რომელთა გადმოქართულება ყველა მომაკვდავს არ შეუძლია, საჭიროა მხნე და დაუყოვნებლივი ზომების მიღება ამ მიზეზების გასაქარწყლებლად და საქმის გამოსასწორებლად.

**პრაპ. ჩინჩალაძე.**

# ახალი რაი. შინაგარეული

ყველამ იცის, რომ ახალციხის მხარე დღეს ქავთველის სისხლით ირწყვის. ეს მოვლენა ახალი არაა ქართველი ისტორიისათვის. რაც თურქებმა ფეხი შემოსდგეს წინა აზიაში, მას შემდეგ ეს მხარე ჩვენ და მათ შორის საბრძოლველ არენათაა გადაქცეული. აქ ხშირათ მომხდარა ქართველთა და ოსმალეთ შორის სამკედრო სასიცოცხლო ბრძოლა. ყველაზე დაუვიწყარი ამითაგან ასპინძოს ომი იყო. მისი მოკლე ისტორია ესეთია:

1765 წ. მეფე ერეკლეს, ოსმალეთის იმპერიამ ომი აუტეხა. უკანასნელმა ფეხიხელის თვლით შეხედა საქმეს და დაუწყო მოპირდაპირეს დალოდებამ, ლაპარაკი და პირობებათ—დება. თათბირმა კარგა ხანს გასტანა. ამ ხნის განმავლობაში მეფე ერეკლე მიეცა სამზადის. სხვათა შორის მან რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინესაც მიმართა მაშინვე დახმარების სათხოვნელათ. ეკატერინესაგან მალე მოუვიდა პასუხი და იმედები: უსათუოთ დაგეხმარები ჯართით, რომელსაც გამოგზავნი გენერალ ტოტლებენის წინამძღოლობით.

მეფე ერეკლე დიდათ გაახარა ამ ამბავმა, მას იმედი მიეცა, რომ დასძრავდა ასპინძიდან ოსმალთ და ამასთანავე მთელს მესხეთ-ჯავახეთსაც შემოუერთებდა საქართველოს. მეფე ერეკლეს მისი იმედიც აღძრა, რომ მთელს საქართველოს თუ არა, ნახევარს მაინც წაართმევდა ოსმალეთს.

ერეკლე გულმოდგინეთ შეუდგა ომისათვის სამზადის; მან გამოაცხადა საქართველოში ქუდხედ კაცის მობილიზაცია, მოიწვია ომისათვის სამღვდლოება და ბერებიც კი. შემდეგ თვითაც გამოუტყდა ომი ოსმალებსა.

მცირე ხნის შემდეგ საქართველოს მოიდა ოსმალეთის დაგეშილი მხედრობა: ევროპიელთა დახმარებით გაწვრთნილი და მათისავე იარაღით, აღჭურვილი.

რუსეთიდან მართლაც ჩამოვიდა გენერალი ტოტლებენი ჯართით; ამ გარემოებამ მეფე ერეკლე დიდათ გაამხნევა და ქართველი ერიც მანეთ მიეგება ომს. თფილისიდან მალე გაუდგა ქართველი მხედრობა ახალციხის გზას, იგი სოფ. ასპინძას უნდა შეპყროდა მტერს. თქმულება არის, რომ ამ ომში ქართველი დედეკაცებიც იღებდნენ მონაწილეობას. ამითაგან იხსენიებიან წყნეთელი მია, წაკისელი თინა და ვაშლოვნილი თამრო.

ამავე დროს, რუსის გენერალმაც მოაწყო საქმე; მეფე ერეკლესთან ერთათ, მისი ჯარიც გაემგზავრა ასპინძისაკენ; მალე ბრძოლაც დაიწყო. ჯარის კაცებმა ამ ომში დიდი გმირობა გამოიჩინეს. ომის დაწყების წინა დღეს მეფე ერეკლემ თავის მხედრობას შემდეგის სიტვით მიმართა:

ძმანო და შვილებო! ქართველებო! დღეს უნდა გამოჩნდეს ჩვენი გმირობა, ვაჟაკობა და სამხედრო ძალა. დღეს უნდა გადაწყდეს ვინ იქნება სიქართველოში: ქართველი ერი, თუ ოსმალეთის უხეში ძალა. ჩვენი განაჩენი აქ უნდა დაიწეროს, ასპინძთან. ან ჩვენ უნდა ვიქნეთ საქართველოში, ან ოსმალეები. ჯარმა ერთხმათ შებღავლა მეფეს: ჩვენ დავედებით საქართველოს მსხვერპლათ და მტერს კი არ გავახარებთ.

ამის შემდეგ მოხდა, ჯარისა და დიდებულთა ფიცი, ანუ აღთქმის დიდება ერთგულებაზე და ჯარის წინ მედგრათ ბრძოლაზედ. მეოთხე დღეს ომიც დაიწყო. ქართვე-



ლები ისე შეებნენ ომს, რომ პირველს დღესვე გაანახევრეს ოსმალეთის ჯარი, ომის დაწყების მესამე დღეს, როცა რუსის ჯარიც უნდა ჩაბრუნდებოდა საქმეში, გენერალი ტოტლებენი უკან დადგა თავის ჯარით. ვაოცებულმა ერეკლემ მიმართა გენერალს და დაუწყო ხეწნა და მუდარება, რომ მონაწილეობა მიეღო ბრძოლაში, მაგრამ გენერალი უარზე იდგა.

ბოლოს ბევრი ხეწნის შემდეგ, ტოტლებენმა ასეთი პასუხი მისცა მას: ჩვენმა ხელმწიფემ ეკატერინემ ოსმალეთთან პირობა დიდგა რომ ჩვენ ოსმალეთის წინააღმდეგ ომში მონაწილეობას არ მივიღებთ, ამიტომ მე თქვენი შველა აღარ შემიძლიან. მეფე ერეკლემ დაიხოქა და დაუწყო ხეწნა გენერალს: ნუ გვიზავთ ამას, ოსმალნი ჩვენ უკვე დავამარცხეთ და ეხლა თქვენ რომ ერთ დღეს დაგვეხმაროთ, სულ მოვსპობთ მათათ.

ტოტლებენმა ჯიბეში ჩაიყო ხელი, ამოიღო ქაღალდი და დაუდო მეფე ერეკლეს და უთხრა: — მე გიშველით თქვენ, თუმცა ეს ჩვენი მეფის წინააღმდეგი იქნება, ხოლო ამის სანაცვლოთ აი რასა გთხოვთ: აი ეს ქაღალდი და აქ დაწერეთ, რომ თქვენ ამიერიდამ საქართველოს რუსეთს უერთებთო.

მეფემ აცნობა ჯარს, რა პირობით აღუთქვამდა მას შველას რუსის გენერალი. გაბრაზებულმა ჯარმა მოსთხოვა მეფეს აქით გაესტუმრებია ტოტლებენი საიდანაც მოსულიყო. ოსმალებს ჩვენ თვითონ გავსცემით პასუხს.

გენერალი ტოტლებენი თავის ჯარით ასპინძელამ ახალციხისაკენ გაემართა და მერე ბაღდადის გზით იმერეთში ჩავიდა.

ქართველმა ურუსებოთაც გაიმარჯვეს. მათ გაიმადრეს ასპინძი და შემდეგ მის იქითაც კი გავცილეს ოსმალები.

ზ. ჭ.

### ჯარი და პროვოკაციები.

როგორც მოგვსენებათ საქართველოს მთავრობამ რეკლამულურ ჯარის შექმნას ყურადღება მიაქცია. როგორც ეტყობა ამ გარემოებებს ვერ შეუბრძნებენ ჩვენი მტრები და ცდილობენ თავისი გესლიანი მიზნების მისაღწევით ათასი ქორი გაავრცელონ ჯარის წინააღმდეგ. ამას წინეთ „ერთობაში“ ეწერა, რომ პროვოკატორები ავრცელებენ თურმე ხმას, საქართველოს მთავრობის ჯარს დაშლა უნდაო. ამით სურს ჯარს გული აუცრუონ იმ დროს, როდესაც იგი მტრზე შეტევას აპირებს. საკვირელი არ არის ჩვენმა მტრებმა რომ ეს ჰქნან, გასაკვირალი ის არის რომ ზოგიერთი ჩვენი მხედრებიც აპყოლიან ფეხის ხმას-ისინი ვერ გამოაკვეულან რომ ყოველივე ეს შექმნილა ჩვენი მტრების მიერ, რომელთაც სურთ დასცენ დემოკრატიულ მთავრობის პრესტიჟი ხალხის თვალში. ვინც ჩვენი ჯარის შექმნის ისტორიას თვალს გადაავლებს, იგი ნათლად დაინახავს, თუ როგორი ცუდ პირობებში მოუხდა მას შედგენა. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენი ჯარი რაც უნდა იყოს დღეს არსებობს. ჩვენმა ომება დაგვარწმუნეს, რომ

ჯარის არსებობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. ჩვენი მთავრობა ყველა ამას ხედავს.

მკითხველმა კარგად უნდა იცოდეს რომ დენიკინის აგენტები კიდევ ბლოსადაა თბილისში, რომლებიც დღე და ღამე მუშაობენ ჩვენი რესპუბლიკის საწინააღმდეგოთ. საქართველოს ჯარმა ბევრს პროვოკატორს დააღწია თავი და იმედია ეხლაც დააღწევს. იმედია ჩვენი ჯარის კაცები და ოფიცრები ხელი ხელ ჩაკიდებულნი მედგრად იმუშავენ ჩვენი სამშობლოს და თავისუფლეს საკეთილდღეოთ.

ალ. გორგაძე.

### დენ. გიორგი ამირჯიბის.

1880—1919.

კალამი ავიღე თუ არა, მომადგონდა განსვენებულის ცოცხალი სახის გამომეტყველება: მისი ფართო შუბლი, დიდი შავი თვალები, აზილული ტანი, მუდამ რო მკვირცხლად და მოხდენილად ირხეოდა. ის, ვისი წინაშეც სიკვდილი კანკალობდა, ვინც სიცოცხლის წყარო იყო, ვინც სიკვდილს ხშირად პირის-პირ შეხვედრია და მუდამ გამარჯვებული დარჩენილა მასთან ბრძოლაში, დღეს კი მკვდარია.

განსვენებული ღენერალი ოცი წელიწადია, რაც სამხედრო სამსახურის სარბიელზე გამოჩნდა. იგი დამსახურებული, ბრძოლაში გამომძიმედილი მხედარი იყო.

გიორგი ამირჯიბი 1880 წ. დაიბიდა. 1900 წ. სამხედრო სამსახურში შევიდა. პირველად მან 1905 წ. იაპონიის ომში მიიღო მონაწილეობა. მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩინოა მისი მონაწილეობა ამ უკანასკნელ დიდ საერთაშორისო ომში. 1914 წელსვე, ოსმალეთთან ომის გამოცხადებისთანვე, განსვენებული ფრონტზე გაჩნდა აქედან იწყება მისი გმირული მოღვაწეობა. იგი მე-20 არტილერიაში მსახურობდა. სომხეთის ფრონტიდან გალიციის ფრონტზე გადაინაცვლა, იქიდან დვინის ფრონტზე გადავიდა და დასასრულ დენ. ბრუსილოვის ცნობილ შეტევაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა. ასე მალე მოიხვეჭა მან სახელი რუსეთის ვეებერთელა ლაშქარში.

აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება მხედრობასთან. ეს დამოკიდებულება არაჩვეულებრივია. იგი თავისი მხედრობის არა მარტო მეთაური და უფროსი იყო, იგი აგრეთვე კეთილი შამა იყო თავისი ჯარისა. ამგვარი შოპრობით მან დაიხსლოვა და გაიერთგულა ჯარი. ეს მაშინ, როცა ჯარს სათავეში რეაქციონერები უდგენ და ძველი რეჟიმის მარწუხებში საცოდავი ჯ.კაცები სულს უღვთოთ ლაფადენენ. განსვენებულის სახელი მტრის სანგრებშიაც პირიდან პირში გადადიოდა: ამირჯიბის რაზმია, აბა ფრთხილადო! ხშირად გაისმოდა მტრის სანგრებში. და მართლაც არ ყოფილა შემთვხვევა, რომ განსვენებულს მტრისთვის ზურგი ეჩვენებინოს. ხშირად ცეცხლის რკალიდან უფნებლად გამოუყვანია სამშვიდობოზე თავისი ერთგული ჯარი.

რევოლუციის ხანებში ამირჯიბი მშობელ-ქვეყნის-საკენ გამოეშურა და ჩვენი ქვეყნის თავისუფლების ერთგულ დარაჯებს მხარში ამოუდგა.





როდესაც ჩვენში საჭიროდ სცნეს ქართული სამხედრო ნაწილების დაარსება, განსვენებული მოიწვიეს და მიანდევს დაეარსებინა ქუთაისში 1-ლი ქართული მსროლელი საარტილერიო ბრიგადა. მან ეს დიდათ პასუხსაგები და იმ ხანებში ძნელად მოსაგვარებელი საქმე პირნათლად შეასრულა. სულ მოკლე ხანში მან დარაზმა ორი დივიზიონი, თითოში სამ-სამი ბატარეით. განსვენებული მეტად ნიჭიერი ორგანიზატორი იყო. მის თანამშრომელთა გუნდს ამშვენებენ ჩვენი სახელოვანი მეომრები: პოლკოვნიკი ანთაძე, პოდპოლკოვნიკები: ჟურული, იშხნელი, ქორქაშვილი, იაშვილი, თუმანიშვილი და სხვანი მრავალნი. როგორც გარეშე მტერთან, ისე შინაური ანარქიის ჩაქრობისათვის ცოტა მსხვერპლი არ გაუღია მის საარტილერიო ბრიგადას. სამი ოთხი თვის განმავლობაში ჩვენს სახელოვან გვერდასთან ერთად მამაცურად იბრძოდა 1 და 6 ბატარეა; ამ დროს განსვენებული პირადათ იქ იყო და თავის ბატარეებს უვლიდა და ხელმძღვანელობას უწევდა. აქ იყო, რომ მან სახელი მოიხვეჭა და ღენერლის ხარისხი მიიღო.

დაუფიწყარი იქნება აგრეთვე მე-4 ბატარეის შეუპოვარი ბრძოლა, საჩხერის რაიონში ანარქიის ჩასაქრობათ; ამ ბატარეას სარდლობდა განსვენებულის სიძე, ჩვენი მე-ბრძოლი ოფიცერი კაპიტანი იშხნელი, რომელმაც ამ ბრძოლაში პოდპოლკოვნიკის ხარისხი მიიღო. აგრეთვე მე-5 ბატარეას ბძოლა, კაპიტან ქორქაშვილის სარდლობით, ლეჩხუმის რაიონში ანარქიის ჩასაქრობათ ჩვენთვის დაუფიწყარი იქნება. თითქმის ყველა ბატარეა იყო ფრონტზე და ყოველთვის შინ გამარჯვებული დაბრუნებულა. ამრიგად ამირეჯიბის საარტილერიო ბრიგადა მუდამ ფხიზლად სდარაჯობდა ჩვენს სამშობლოს და იცავდა მას გარეშე და შინაური მტრის თავდასხმისაგან.

ჯ.-კაცებს მუდამ სამშობლოს წინაშე ვალის პირნათლად მოხდას უნერგავდა გულში. და ბევრი ჩვენი დაუდევარი მოქალაქე გაუშვია შერცხვნილი, თუ კი მას ამ ვალის უგრძობლობას შეამჩნევდა.

მშობლიურ და ხალხოსნურ გრძობას დიდი პატივისცემით და თანაგრძობით ეპყრობდა განსვენებული.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა განსვენებული ბრიგადის გაეროვნობას, მაგრამ სამწუხაროდ ქართული ენა ზედმიწევნით არ იცოდა. მას წილად ხვდა რუსეთში აღზრდა და იქ ოცი წლის განმავლობაში სამხედრო სამსახურში ყოფნა, რამაც იგი მშობელ მხარეს მოსწყვიტა ვერ წარმოიდგენთ, როგორ სწუხდა იგი, რომ ქართული ენა კარგათ არ იცოდა. განსვენებულს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ქართული ენა სავსებით შეესწავლა. განსვენებული ყოველ ღონეს ხმარობდა, სამ ბრიგადაში საქმის წარმოება და ჯარის კაცების გაწრთება ქართულ ენაზე მომხდარიყო. და გამოსცა კიდევ ერთი წიგნაკი: კითხვები ახალგაზრდა ჯ.-კაცთა საარტილერიო კურსიდან, რომელიც სახელმძღვანელოდ დაურიგა ბრიგადის ნაწილებს.

ჩვენს ქვეყანას ეხლა უფრო სჭირდებოდა ამისთანა გამოცდილი, ენერგიული მუშაკი. დიდათ სავალალოა, რომ ახალგაზრდა მწ წლის ღენერალი მოგვიკვდა მაშინ, როდესაც მისი სიცოცხლე ესოდენ საფასური იყო ჩვენში, პატარა სამშობლოსათვის. აღარა გვყავს ამირეჯიბი, მაგრამ დაგვრჩა ფასდაუღებელი ნაყოფი მისი ენერგიული მუშაობის:—პირველი საარტილერიო ბრიგადა. ეს ბრიგადა ღენ. ამირეჯიბის ხსოვნას ერთი ორად აცისკროვნებს.

ჯარის-კაცი დაგ. დონდუა.

შენი ხელით მოველოდი მიწას

სამაზრო ქალ. მ.-ს, ერთ ქუჩაზედ, ვგრეთ წოდებულ „შუა ღამის“ დუქნის წინ, სადაც სოფლებში მამავალი დილიჯნები ჩერდებიან, რამოდენიმე მეზავრს მოეყარა თავი და მედილიჯნეს ელოდნენ.

— ჩახხედით, ჩახხედით, - ვასმა უეცრად ბახუსით ჩახლეჩილი ხმა მედილიჯნისა, რომელმაც ის იყო თავი გამოჰყო დუქნიდან და ბარბაცით გაემართა დილიჯნისაკენ.

— მაღლობა დმერთს, რომ ველირსენით, გაისმა იქვე მდგარი სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილ ყმაწვილ-ს ხმა, რომელსაც მეტის მეტი ლოდინით მოუთმენლობა ეტყობოდა ხშირ ღვა იყურებოდა იმ დუქნისაკენ, საიდანაც მოისმოდა დაუსრულებელი ხრინწიანი სიმღერა და სადღეგრძელოები.

ყმაწვილმა მაშინათვე წამოავლო თავის პატარა ბოხჩას ხელი და ავიდა დილიჯანში, მას მიჰყვნენ სხვა მეზავრებიც..

როდესაც ყველანი დაბინავდნენ „მუდამ“, ასე ეძახდნენ მეტ სახელად მედილიჯნეს, „ვოკები“ მოიპარჯვა, ცხენებს შოლტი გადაჰკრა და თან რიგინათ დასძახა თავის ჯაგლავ ცხენებს.

დაიძრა დილიჯანი, რომელიც ისე რახრახებდა ოდროოდრო ქვა-ფენილ ქუჩებზე, რომ აღამიანს ყურთა სმენას უხშობდა.

მეზავრთა შორის სიჩუმე ჩამოვარდა, ზოგი მათგანი საძილოთ სთვლემდა, ზოგიც საკუთარ ფიქრებში იყო გართული, მხოლოდ ყმაწვილს დილიჯნის სარკმელში თავი გაეყო და გაჰყურებდა აჯეჯილებულ მინდორ ველს, რომელსაც მზის მცხოვანი სხივები ათასურად ავარაყებდნენ...

იგი ნაცნობ ადგილების ნახვამ ძალიან აავრთოვანა და მის ჩაცვივულ თავლებიდგან მხიარულების ლანდი გამოჰკრთოდა... და მალე ოცნების სამეფოში გადაფრინდა.

მას თვალ წინ აღემართა განვლილი ყმაწვილობა; ვიქური ნავარდი, დედამამის ალერსი, ნებიერობა, გაიხსენა ჰაბუკობაც, ტოლ ამხანაგი, და ბოლოს პირველი სიყვარული თავისი... პაემანი მასთან, უმწიკვლო კოცნა და ნეტარება მაგრამ, მისი სახის ბედნიერების ღიმილი ახლა სხვა სურათმა სევდით მოიცვა... მას თვალ წინ გადაეშალა უცხო ქვეყანა, ტანჯვა, შიმშილი, მშობლებთან დაშორება, თალიკოსთან ცრემლებით გამოშვდილება და გულის სიღმრიდგან მწარე კვნესა ამოხდა.

— ჩემო ქვეყანავ. ჩემო ლამაზო სამშობლოვ... ჩემო საყვარელო დედა... ძვირფასო მიჯნურო... კვალად მეღირსა შე თქვენი ნახვა... ოჰ, ბედნიერი





ვარ, ბედნიერი, რომ თქვენც გიხილეთ უძვირფასესნო და შენი სამშობლო თავისუფალო, მოგესალმები შენი ნაშობი და ფიცსაც გაძღვეს აღარ დაგშორდეს და შენსა მკერდზედ შინ ვპოვოს ბინა... ოღონდ, შენ იყავ ბედნიერი...., ფიქრებში გატაცებული თავისთვის ლაპარაკობდა ყმაწვილი....

ირგვლივ მყუდროება ჩამოვარდა, — მხოლოდ ამას არღვევდა ყმაწვილის გულის საშინელი ძვერა...

2.

სოფ. d...., რომელიც სამაზრო ქალაქიდგან შვიდი — რვა ვერსით არის დაშორებული, გაშენებულია ხელის გულივით სწორ ადგილზედ, რომელიც ფერად გინდერებით და ჯადოსნურათ ქსოვილ ბალ — ვენახებით არის გარშემორტყმული. ამ საოცრებო და საუცხოვო მდებარეობას შუა ჰყოფს გიჟი მეჯუდა, რომელიც ზაფხულობით ისე აზვირთდება ხოლმე, რომ ვაღმა უბანს გამოღმასთან მეზობლურ კავშირს უსპობს, და ამიტომაც ამ სოფელს ორი საურმე გზა აქვს სამაზრო ქალაქისკენ... ვაღმა უბნის დასაწყისში სადაც მრავალი კაკლები სდგას, მათ შორის აღმართულია ძველი ქართველთა კოშკი, რომელსაც მრავალი საიდუმლოება აქვს მაშინდელი ქართველების ცხოვრებისა და ამიტომაც ამაყურათ ვაცქერის მთელსა მიდამოს... ამ კოშკის გვერდზედ სდგას ორ სართულიანი სახლი, რომელიც ოდესღაც მხიარულების სავანე იყო და მის პატრონს იმიტომ აეშენებინა მზის პირად, რომ სოფელში მოსული სტუმარი მას არ ასცდენოდა ისე, რომ ოჯახში ჰურმარული არ მიეღებინებინა.

ეხლა კი ამ სახლს კედლები დახეთქია ჟამთა ვითარების გამო და გარშემო ჩამიჩუმიც არ ისმის...

ამ სახლში სცხოვრობს, ერთი მოხუცი დედაბერი, რომელიც, როგორცკი ალიონის შუბი ცის შავ რიდეს გაარღვევს, საიდანაც განთიადის რიჟრაჟი გამოჰყოფს ხოლმე თავს, დედაბერი აივანზედ გამოვა ყავარჯნებით ხელში და დიდხანს გაჰყურებს შარა გზას და როცა დაიღლება იქვე ჩაიჩუქებს და მოსთქვამს თავის უბედურებას. ხშირათ იგონებს ომში დაკარგულ შვილს. იმდენათ მწარე და გულსაკლავია მისი მოთქმა და ტირილი, რომ თვით გულქვა ადამიანსაც კი ააცრემლებდა. ეს მოხუცი დედაბერი, ყველასათვის კარგათ ცნობილი კირილე ტანჯვილასძის ქვრივი იყო, რომელსაც დიდი სახელი ჰქონდა მოხვეჭილი თავისი მჭერმეტყველობით, პურმარლით. მართლაც კირილეს ოჯახში მთელი წლობით ცეცხლი არ ჩაქრებოდა და ზუსტადგრიდგან ქვაბი არ გადმოიღვებოდა, იმდენი სტუმარი დადიოდა მასთან, რადგან მას ჩახედულ კაცათ სთვლიდნენ... რა თქმა უნდა თი-

თონაც სარგებლობდა ამ შემთხვევით, მაგრამ სხვებსაც უმადურათ არ სტოვებდა და ამიტომაც მის ოჯახში დოვლათი ტრიალებდა... და კაყოფილი ბედისა ბედნიერათ ლევდა ამ წუთისოფლის დღეებს, მაგრამ მოგეხსენებათ ერთი დრო არავის შეჩვენია, რადგან მუხთალი ცხოვრება რჩეულთ არჩევს, თავის ბორბლებში ჩაითრევს ხოლმე — და ვიდრე სრულიად არ გაანადგურებს არ მოეშება ასე მოუვიდა ამ ბედნიერ ოჯახსაც. მოულოდნელათ უღმობელმა სიკვდილმა გამოაცალა ცხოვრების ბურჯი — კირილე, რითიც ბევრი სიმწარე ვააცდენინა და მხიარულება და სიცილი ბოლოს მწარე ცრემლებით შეუცვალა...

ქმარის დაკარგვის შემდეგ, სალომეს მოუხდა ოჯახის ჭაპანის წვევა, რადგან მისი პირმშო ჯერ პატარა იყო და, განებივრებულმა, ოჯახისა არა იცოდარა. იგი ისე წამოიზარდა და დავაჟიკაცდა, რომ სრულიად არ უგვრძნია სიობლე, რადგან სალომე ყოველგვარ სურვილს უსრულებდა, თუმცა მისთვის მეტად საძნელო იყო თუ ვისიმე ოჯახის შვილი გამოვიდოდა სადმე ჩაცმულ-დახურული, ილიკოც თუ პირველი არა, სხვაზედ ნაკლებ ჩაცმული მაინც არ იყო...

ილიკო ბუნებით მეტად მოხდენილი და ლამაზი ყმაწვილი კაცი იყო და ამასთანავე მამასავით გულუხვი და მასთან მოსაზრებული, რაც უპირატესობას შეადგენს სოფლის ახალგაზდათა ცხოვრებაში.

— ნამდვილი ბრძენია, ნამდვილი ბრძენია, მედაჩემმა ღმერთმა, ეგ მამაცხოვრებული, — იტყოდნენ ხოლმე საქმეზედ მისული გლეხები, ეგრე როგორ დაემგზავსა მამას, რომ ხელათ ყველაფერს გეტყვის, თითქო შენს თავში და გულში ზისო... რა თქმა უნდა, რომ ილიკოს ასეთი ღირსება ყველამ კარგათ იცოდა, ამიტომ ბევრი ოჯახი ნატრობდა მის სიძეობას, ბევრი ახალგაზდა ქალი აწონებდა თავს, მაგრამ ის ყურადღებას არავის აქცევდა რადგან დიდხანია სიბავშვიდანვე თვალში ჰყავდა ამოდებული ღიაკვნიანთ თალიკო, რომლის ეშხით დამთვრალი მთელი დღე მათ კარებზედ ატარებდა და სტკბებოდა მისი სიკეკლუციით...


(შემდეგი იქნება)

გ. საათაშვილი

კვირეული მიმოხილვა

უკანასკნელ მიმოხილვაში ჩვენ ვამბობდით: თუმცა ჯერ არა ისმის რა იხალციხის ფორტიდან ჩვენი ჯარის მოქმედების შესახებ, მაგრამ ჩვენ ეჭვი არ გვეპირება, რომ ჩვენი ჯირი აქაც ბრწყინვა-





ლედ გაიმარჯვებთქო. მართლაც აღსრულდა ჩვენი იმედი: ჩვენმა ჯარმა 7-მარტს ახალციხე აიღო. ახალციხის ფრონტზე ჩვენი გამარჯვება მრავალ მხრივ არის მნიშვნელოვანი: ჯერ ერთი, რომ ლაგამი აედო ახალციხეში თავმოყრილ ფაშა-ბეგების რეაქციონურ რაზმს, რომლის მიზანი იყო ჩვენ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში არევ-დარევის შეტანა და თავისი შავრაზმული მიზნების განხორციელება; ახალციხის რაიონში ჩვენს საწინააღმდეგოთ დიდი ორგანიზაცია ჰქონდათ ჩვენს მტრებს, ისინი ყოველივე საშუალებას ხმარობდნენ, რომ როგორმე ჩვენში შემოჭრილიყვნენ; ამიერიდან მათ მოქმედებას შავი ჯვარი უნდად აუსვათ. მეორე მხრივ, ახალციხის ფრონტზე ჩვენი ჯარის გამარჯვება ჩვენ მოძმე ახალციხელ მუსულმან ქართველებს მიანიჭებს სრულ თავისუფლებას, მშვიდობიანობას, რაშიააჭყვებ ასე დაინტერესებული ვართ. ჩვენი თანაერთხორცნი ახალციხელები ქართველები გახდნენ მსხვერპლი ბეგებისა და მათ მიერ მოსყიდული აგენტებისა; მათ ათასნაირი პროვოკაცია გაავრცელეს ჩვენს წინააღმდეგ მუსულმან ქართველებ შორის; სამწუხაროდ, ამ პროვოკაციის ნაყოფი პირველად ახალციხელებმა ქართველებმა იგემეს: მათ ოჯახი აუწიოკეს, გაანადგურეს მათი ნაამივარ—ნაჭირანხულები და ბევრს გულა-ნაბადიც კი აკიდეს ზურგზე. ჩვენი გამარჯვების შემდეგ მათ საშუალება ეძლევა დაუბრუნდნენ თავის გაცივებულ კერას და შეუდგნენ მშვიდობიან ცხოვრებას. ყოველივე ეს გვარგუნა ჩვენი ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებამ. მოგვცა საშუალება ერთხელ კიდევ დაუმტკიცოთ ჩვენ მტერ-მოყვარეთ. რომ იმას, რაც აუარებელი სისხლითა და მსხვერპლითა, გვაქვს მონაპოვარი ვერავის ვერ დაგუთმობთ.

\* \*

ჩვენი მთავრობის დიდი სურვილია რომ ყველა ჩვენ მოსაზღვრე ხალხთა შორის სუფევდეს თანხმობა დემოკრატიული წეს-რიგისათვის. ის ვერ შეურიგდება, რომ ჩვენ მეზობელ ერს ბატონი პატრონობდეს რომელიმე რეაქციონური ძალა. ამის საუკეთესო საბუთია ის ნოტი, რომელითაც წარსულ კვირაში მიმართა ჩვენმა მთავრობამ უცხო სახელმწიფოების დიპლომატიურ წარმომადგენლებს დენიკინის მოხალისეთა ჯარის კავკასიის მთიელთა კავშირის რესპუბლიკაში შეჭრის გამო. მოხალისეთა სარდლობამ მოთხოვა მთიელებს მთელი ძალა უფლებების გადცემა. ჩვენი მთავრობის ნოტაში ცხადია არის ნათქვამი: „ამიერ კავკასიის ერთა სოლიდარობა, რომელიც ემყარება კავკასიაში არსებულ ისტორიულად და ეკონომიურად დაკავშირებულ

რესპუბლიკათა ურთიერთ ნდობას, ავღღობის რესპუბლიკის მთავრობას კათეგორიული პროტესტი განაცხადოს მოხალისეთა არმიის სარდლობის ძალმოპრეობითი მოთხოვნების, რომელიც მიმართულია მთიელთა რესპუბლიკის მცხოვრებთა ინტერესების წინააღმდეგ. საქართველოს მთავრობა სრულ თანაგრძობას და სოლიდარობას უცხადებს მთიელებს მათ დამოუკიდებლობის დაცვის საქმეში“.

ჩვენი მთავრობა და საქართველოს დემოკრატია მოსაზღვრე ხალხის ბედით დიდათ დაინტერესებულია და აღჭურვილი მეზობელ ხალხისადმი სოლიდარული გრძობით და კეთილ მეზობლური განწყობილებით.

\* \*

წარსულ კვირაში სომეხ-ქართველთა კონფერენცია განაგრძობდა მუშაობას. ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ ბოლოს მაინც მოინახა საერთო, შემათანხმებელი ენა. კონფერენცია საიმედო ნიშნებს იძლევა იმისას, რომ ორ მეზობელ ერთა შორის სულ აღრე აღსდგება სოლიდარული და კეთილ მეზობლური კავშირი. მთავარი სადაო საკითხი, — ეს საზღვრებზე შეთანხმება და აი სწორეთ ეს მთავარი საკითხი მოითხოვს კონფერენციისაგან მეტ აწონ-დაწონას და გონიერებას. ორივე რესპუბლიკის ინტერესები მოითხოვს, რომ ეს საკითხიც გადაწყდეს გარეშე ძალის ჩაურევლად. გარეშე ძალა ვერც შეძლებს ამ საკითხის სისწორით გადაჭრას. აუცილებელი საჭიროა ორივე რესპუბლიკისათვის ურთიერთ დახმარება. ეს ერთად ერთი პოლიტიკაა, რომელიც მთავარ ბურჯათ უნდა დაედოს ჩვენსა და სომხებ შორის დამოკიდებულების განმტკიცებას.

ჩვენი მტრები ძალიან ბევრს ეცადნენ ჩვენშადათ დამფუძნებელი კრების არჩევნები, მაგრამ ამაოდ. დამფუძნებელი კრების არჩევნები დასრულდა. პირველი დამფუძნებელი კრების სხდომა შესდგა 12 მარტს. სრული დარწმუნებული ვართ, რომ დამფუძნებელი კრება გაამართლებს ქართველი ხალხის იმედებს.


გრ. საქარქედელი.

# ქრონიკა

— ჩვენმა მთავრობამ ნოტით მიმართა სახელმწიფოთა წარმომადგენლებს და პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ მოხალისეთა ჯარის სარდლობა მთიელთა რესპუბლიკას არ სცნობს.

— ბათუმში ზღვით მოვიდა გენ. დენიკინის ტყვეობიდან განთავისუფლებული 360 ქართველი ჯარისკაცი. 35 მათში დაჭრილ-დაავადმყოფებულია, დანარჩენები ჯანსაღად არიან.





— სოხუმის ოლქის რუსთაეროვ, საბჭო სთხოვს ინგლისის მისიას, რათა მან სოხუმის ოლქში წარმომადგენელი დანიშნოს იქ მცხოვრებ რუსთა ინტერესების დასაცავად.

— შედგა ლაზიქანის განაჯიგისუფლებელი კომიტეტი, რომელმაც მოწოდებით მიმართა ლაზებს.

— ბოლშევიკებთან ბრძოლის დროსალაგირში მცხოვრები ქართველები დაარბიეს.

— ახალციხის ფრონტზე 8 მარტს ჩვენმა ჯარმა სოფ. ზაკილხა და ფოცხვესკენ წაიწია. დაგვიჭრეს 7, მოგვიკლეს 2, — მათ შორის პეტრე ლალიძე. ჩვენმა რაზმმა ხელთ იგდო შტრის 1 ტყვიისმფრქვეველი.

— 7 მარტს დილით ჩვენმა ჯარმა ახალციხე დაიკავა.

— გაზგიდან მიღებულ ცნობით მოკავშირეებს სურთ მხოლოდ წესრიგის დამყარება რუსეთში, შინაურ საქმეებში არ ჩაერევინან. ინგლისი იწვევს რუსეთის წარმომადგენლებს პრინციპულ კუნძულებზე. ან ხხვა ალაგას. მოწვეულ კონფერენციაზე უკეთეს ამ წინადადებას არ მიიღებენ, მოკავშირენი ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მასალით უზრუნველყოფენ ესტლიანდიას ლიტვას, არხანგელსკს და ეკატერინოღარს.

— ჰამბურგში მკაცრი ბრძოლაა სპარტაკელებთან. დაპატარეს 112 სპარტაკელი. გერმანიის ცენტრალურმა მთავრობამ მოწოდებით მიმართა მუშებს რათა მათ ამ კრიტიკულ მომენტში თავი შეიკავონ ყოველგვარ გაფიცვებისაგან.

— ბოლშევიკების ცნობით საომარი მოქმედება განახლდა გერმანელებსა და ბოლონელებს შორის. ბრძოლა გრძელდება აგრეთვე გალიციაში პოლონელებსა და უკრაინელებს შორის.

— გერმანიის ზო იერთ კუთხეებში მთავრობის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლა გრძელდება, გალი ჯერ კიდევ ვერ გასწმინდა სავსებით მთავრობის ჯარმა კომუნისტებ-საგან ლეიპციგში მუშათა გაფიცვას ბურჟუაზიამ კონტრ გაფიცვით უბასუხა. რერის ოლქში სიწყინარეა ჰამბურგის ზოგიერთ მაღაროებში გაფიცვა.

— საფრანგეთის წინააღმდეგით გერმანიის დასავლეთ საზღვარზე რეინის პროვინციებისაგან უნდა შესდგეს დამოუკიდებელი სახელმწიფო.

— გერმანიაში სხვადასხვა ალაგას გაფიცვები გრძელდება. ცენტრალურმა მთავრობამ გადასწყვიტა საერთო გაფიცვები შეიარაღებული ძალით შესწყვიტოს. ბერლინში ბრძოლაა მთავრობის მომხრეთა და სპარტაკელებს შორის.

სამხედრო სავანგებო სასამართლოში

გვარდიელის დახვრება.

— სოხუმის ოლქის საველე შტაბის ცნობით, სამხედრო სავანგებო სასამართლოს განაჩენის და სოხუმის ოლქის ჯარების სარდლის და ტურის თანახმად 3 მარტს სოფელ კვაკლიხაში დახვრეტილი იქნა ცხენოსანთა დივიზიონის გვარდიელი კონსტანტინე კარაკაში, რომელსაც ბრალდებოდა სოფელ აძაგის მცხოვრებ სტეშენკოს გაძარცვა და მისი ქალიშვილის გაუპატიურება.

გვარდიელთა დასჯა კატორღით

— ამავე სასამართლოს დადგენილებით ძარცვა-გლეჯისათვის მიუსაჯეს 20 წლის კატორღა გვარდიელ ალექსანდრე მანიაშვილს, 6 წლის ციხე იძულებითი მუშაობითურთ ალექსაილრე მახარაძეს და ორი წლის ციხე იძულებითი მუშაობითურთ ვასილ ასკუტავას.

უნტერ-ოფიცრის დასჯა.

— 3 მარტის სავანგებო სასამართლომ განიხილა საქმე ჯიმკროს უნტერ-ოფიცრისა, ახალციხის განყოფილების მეორე მანგლისის სასახლეგო რაზმისა, ალექსანდრე მანგლისისა რომელსაც ბრალდებოდა მტრის ბანაკში გაჭრევა და მიუსაჯა ყველი ლირსების ახლა და სი ვდილით დასჯა. ამავე სასამართლოს შეუამდგომლობის თანახმად გენერალმა კინიტაძემ სასჯელი შეუსუბუქა შემდეგთ: ყველა ლირსების ახლა და 12 წლის კატორღა.

მოხორცილება.

საქართველოს რესპუბლიკის მიქალაქენო!

ჩვენი ს. ხელოვანი ჯარი და სახალხო გვარდია იბრძვის სამშობლოს და დემოკრატიის მტრების წინააღმდეგ; მათ უხდებათ პოზიციებზე ყოფნა სიცივეში, ყიფნაში, ცივ თხრილებში. მათთვის ბევრი რამ არის საჭირო, მაგრამ არა ნაკლებ საჭიროებას წარმოადგენს მათთვის სულიერი საზრდო; აი ეს საზრდოა ჟურნალ გაზეთების მიწოდება მათთვის. ამისათვის მოგმართავს თქვენ სამხედრო სამინისტროს საკულტურო-განმანათლებელი სექცია, მოგვაწოათ ქართული ჟურნალ-გაზეთები და წიგნები, რომ შეძლება მიეცეს შემოხსენებულ სექციას გაზაფხონს პოზიციასზე ქართველ მეომრებისათვის. მსურველებმა უნდა მიიტანონ ჟურნალ გაზეთები გენერალურ შტაბში, საკულტურო განმანათლებელ სექციაში (სასახლის ქუჩა).

სექციის უფროსის მაგიერ: კაპიტანი ჩაჩანავი, მდივანი ალ. გორგაძე.

P. S. ვთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ.

ა. გ.



## მთავროვის მოახვე, უოვალ დღიური გაცათი.

(ოფიციალური და არა ოფიციალური გინყოფილებებით).

# „საქართველოს რესპუბლიკა“

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით — 120 მ., ნახევარი წლით — 60 მ., ერთი თვით — 10 მ. ცალკე ნომერი ყველგან 50 კ-სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზედ ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1—82.

## საკოლმეტიკო და სალიტერატურო გაცათი

# „სახალხო საქმე“

ღირს 1919 წლისთვის: 1 წლით 140 მან., ნახევარი წლით 75 მან., სამი თვით 40 მან., 1 თვით 15 მან. ნომერი ეღირება სოფლად და ქალაქად 80 კაპ. რკინის გზის სადგურებზე — 1 მან.

ხელის მოწერათ ვადამდე ფასი არ შეეცვლებათ რანაირადაც უნდა შეიცვალოს გაზეთის პირობები.

საფოსტო მისამართი: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, სახალხოს ქ. № 6 „სახალხო საქმის“ რედაქცია. კონტორა დიახ დილის 9 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 6 საათიდან 7 საათამდე.





F 49  
ქართული  
ლიბრერი  
1975

---

ფანი 2 მანეთი.

---